

FS 468L
2

ବ୍ୟାକ୍‌ରେଖାଳୀ
ପ୍ରକାଶନକାରୀ



902.6 (47,922)

ი. თავაიჯანიშვილი



არხეოლოგიური

ეთნოგრაფიული

ენციკლოპედია.

წიგნი პირველი.

K 13.822
3

თბილისი

აღმატებულის სტატია წიგნების გამომცემის ქართველ ამინისტრის
1907

E. 296 p. (22x14), [9], v. 7.






සාහෝත්‍රී පොදුව

පෙරේගලුව මධ්‍ය පොදුව

ඡේචනක පොදුව

ඡේචනක පොදුව



არხეთდოგიური შოგზაურთაბანი და შენიშვნანი ისტორიული
 სხვა და სხვა ღრის ფურნად „მოამბეშა“. წერ იმედი კუთხინდა
 ფურნადის საშეადებით და გვესტას მოედა ის დადგინდა მასდაც,
 რომელიც შევკრიბეთ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებში მოპ-
 არეურთაბას ღრის, მაგრამ იმედი სრულად არ გატვირთდა: ზოგ-
 ჯერ წერ კერ შოგორულეთ თავის ღრისებ მიტკეწადებინა მასდაც,
 ზოგჯერ საკმარ ადგილი არ იყო და ფურნადიც რიგზე არ ჩამო-
 დითდა, შემდეგ კადებაც სრულდად და მიტკეწადებიც, და ამგვარიც წერნა
 მასდაცის ბეჭდება შესწერა. ამიტომ წერ კერათუ კერ შოგისწართ
 დაბეჭდება ამ მასდაცის, რომელსაც შირველი გვერდის შენიშვნაში
 უწევება, ესე იგი წადების, გომირკეთის, დანის სევის, კუნძუ-
 ლის, ტანძია-პითარეთის, ბოდნასის, აღმუდახისი და სხვა, არა-
 მე კახეთში შეკრებილი მასდაც კერ დავამოაკრებ. ის, რაც დაის-
 ტამბა, ესდა პირველ წიგნით გამოდის სულ რამდენიმე ცდი.

ე. თაურიშვილი.

ცოლოლებანი

| | | |
|--|---------|------------|
| ბ). სტრიონი | სტერცა | უნდა იქნას |
| 123 9 კვემოდამ | წერზ | წერზ |
| 126. 5 — | ფურნადი | ფურნადი |
| მე-19 გვერდი, მე-4 სტრიონი ზემოდაპ, სატევების შემდევ „მადლა არტენულის“ უნდა მავმართ: — „შეაღის ბეჭდი“ — . | | |

სახიებელი არხეოლოგიურის მოგზაურობანის და შენიშვნანისა.

| | |
|--|-----|
| იმპრეზი. საჩინო | 83- |
| მფრიარეობა საჩინოს | 1 |
| სოფელი კანი | 2 |
| ძევლი ნაქალაქევი აზნაურთ ახლედიანების ეზოში და იქ ნაპოვნი ნიერები | 3 |
| ვანის ცკლებია. | 7 |
| ხატები ვანის ცკლებისა | 9 |
| ვანის ხახატება | 12 |
| სოფელი ისრითი | 19 |
| სოფელი ღიხაშეთი | 20 |
| სოფელი საღვერია. | 21 |
| სოფელი ქედა | 21 |
| ძევლი ტაბანიური | 23 |
| გურია | |
| სოფელი აჭი | 24 |
| სოფელი ლეხაური. | 26 |
| სოფელი ძიმითი | 28 |
| სოფელი მავანეთი | 31 |
| სოფელი გურიანთა, ციხე | 31 |
| გორისცემული | 34 |
| ქედა | 36 |
| შემოქმედი | 37 |
| ქართლი | |
| სოფელი ურბნისი. | 41 |
| წარწერები ურბნისის ცკლებისა | 43 |
| ვიტატია ურბნელის ცვდემოზისა | 47 |
| წარწერა სამრეცლოსი | 50 |
| წარწერა ძევლი კანკელისა | 51 |
| ნიერები ურბნისის ცკლებისა | 51 |



ଓଡ଼ିଆ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ପାଠ୍ୟ ପରିଚୟ

| | |
|--------------------------|---------|
| ପ୍ରକାଶକ ବିବରଣୀ | 56 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପାଠ୍ୟ ପରିଚୟ | 59 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 61 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 62 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 63 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 64 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 65 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 67 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 74 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 76 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 78 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 80 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 81 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 82 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 83 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 85 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 90 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 96—105 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 105 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 106 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 108 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 109 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 113 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 124 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 127—207 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 207 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 208 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 211 |
| ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର ପରିଚୟ | 213 |



| | |
|---|-----------|
| ପ୍ରଫଲ୍ୟେବଳ ଫାରିଟ୍ରେର୍ବରି | 214 |
| କେର୍ଲେବଳ | 217 |
| ଫିଲ୍ଡ୍ରେବଳ | 218 |
| ଶର୍ମିତା ଏଲମିନ୍ସାଫ୍ଲୋରୋସା ଏନ୍ଟ୍ର ଗାର୍ଡର୍ସାନ୍ତ୍ରା ମିଳି ସାନ୍କ୍ରମିଷ୍ଟିଲୋର୍ସା- ଟ୍ୱାଙ୍କ ମିଳିରିଟ୍ରେବ୍ୱଲୁମିଲ୍ସା, ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀ ଉତ୍ତରାତ୍ମିକାରୀ ଏଲ୍ୟୁ- ସାନ୍କ୍ରମିତ ଏମିଲିବାର୍କ୍ସାର୍କ୍ସା, ଏଫ୍ ସର୍ବଲାଭ ଫାର୍ମେକ୍ଟିକ୍ୱାଲିଟି | 222 — 241 |
| ଫାର୍ମ୍‌ର୍ ଟ୍ୱେଲିଙ୍କ୍. | |
| ଟ୍ୱେଲିଙ୍କ୍ ବ୍ୟାପକ ବ୍ୟାବହାରି | 241 |
| ନିର୍ମିତିବଳ ଫା ମାତି ଫାର୍ମ୍‌ର୍ରିଟ୍ରେର୍ବରି | 242 |
| ଶ୍ରେଣିନିର୍ମିତିବଳ | 244 |
| ଫ୍ରେରିକ୍‌ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ ବ୍ୟକ୍ତିଗତ | 247 |
| ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ ଓ ବ୍ୟାବହାରିକ୍‌ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳିଲ୍ସା | 251 |
| ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ | 253 |
| ନିର୍ମିତିବଳ ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳିଲ୍ସା | 253 |
| ଶ୍ରେଣିନିର୍ମିତିବଳିଲ୍ସା | 256 |
| ଲ୍ୟେନ୍‌ରାଲ ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀ ଅତାନିକ୍‌ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ ନିର୍ମିତିବଳିଲ୍ସା | 256 |
| ଶ୍ରେଣିନିର୍ମିତିବଳିଲ୍ସା | 256 |
| ଫାର୍ମ୍‌ର୍ ମିଳିଲ୍ସା | 265 |
| ଫାର୍ମ୍‌ର୍ରିଟ୍ରେବଳ ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳିଲ୍ସା | 266 |
| ନିର୍ମିତିବଳ | 266 |
| ଏଲିମ୍‌ବ୍ୟାପକିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ | 269 |
| ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ ମିଳିମିଳିଲ୍ସା | 270 |
| ଫାର୍ମ୍‌ର୍ରିଟ୍ରେବଳିଲ୍ସା | 271 |
| ପିଲ୍‌କ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ | |
| ଜାନିଲ୍ ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ କ୍ରୂରାମିଲ୍ ପ୍ରାଣିକ୍ରମିକ୍ରିଯାଲୀବଳ ଲା ନିର୍ମିତିବଳ ଫାର୍ମ୍‌ର୍ରିଟ୍ରେବଳିଲ୍ସା | 272 |
| ଶ୍ରେଣିନିର୍ମିତିବଳିଲ୍ସା | 273 |

არხეოლოგიური მოებაურობანი და შენიშვნანი*)

საჩინო. განი. სოფელი ვანი სამია, ორი გურიაში და ქრთი იმერეთში. ის ვანი, რომელზედაც ჩენ გვექნება ლაპარაკი, მდებარეობს იმერეთში, ქუთაისის მაზრაში, ნიღდაცის საბოჭაულოში. სულ ბალდაცის საბოჭაულოში ითვლება 52 სოფელი, ამათში 22 სოფელი ეკუთხის იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდება საჩინო. საჩინოს სოფელები გაშლილი არიან ერთის მხრით რიონის მარტბენა ნაპირზე და მეორეს მხრით ახალციხის მთების სამხრეთის კალთებზე. გარდა რიონისა საჩინოს ბეკრი ჰატარი მდინარეები ჩამოუდის, რომელთა შორის უფრო შესანიშნავია მდინარე სულორი. მანძილი მთებსა და რიონს შეუდიდი არ არის, ეს იყო ვანი საჩინოს ჰატარი აქვს, და ეს მხარე უფრო გაჭიმულია სიგდეზე, ხაჯიფახოდან ქორისწლამდი.

*) არხეოლოგიური მასალა, რომელიც ამ სათაურით იბეჭდება, შეკრებილია 1894—1900 წლებში სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებში ცოგზაურობის დროს. ამ მასალის შეკრებაში გვეხმარებოდა ბ-ნი ა. ვ. ქუთათელაძე, რომელიც უმ-ტეს შემთხვევაში ჩეგნთან ერთად მთავრისტოდა. თუ არ მისი დაპირება ჩენს მასალას ჯეროვანი სისრულე არ ექნებოდა, ნამეტნავათ წალეაზე შეკრებილს წარწერებს: ზოგჯერ აქ საქირო იყო ნიფათიან კიბებზე ასელა და წარწერების ხავსის მოკილება და გარეცხა, რომ წარწერები გამოჩენილიყო და წაკითხვა შესაძლებელი გამხდარიყო. ამ გვარ შრომის ყოველთვის ასრულებდა ა. ქუთათელაძე. ზოგჯერ წარწერები ჩამონებული ლოდებით იყო დაფარული, ზოგჯერ კრის ადლის იმაღლე მიწით; აგრეთვე სასაფლაოს ქვის წარწერები ანუ ე-იტაფიცი უმ-ტეს შემთხვევაში დაფარული იყო მიწით და ნაკელით, ვინაიდგან მრყოფებულ ეკლესიებში ამ მხარეში ყოველგან საქონელს ამ-



სილიაშვე მთა-გორიანი ადგილებისა, ან კარა წყლები, უმშენებელი ერთ მოსახლი ყოველ გვარი ჭირნახულისა და შეზაფუშიც დასახური ჰავა ხდის საჩინოს ერთ საცუკეთესო ადგილად მთელს იმერეთში. ამიტომ გასაცვირალი არ არის, რომ ძველია ამ მხარეს „საჩინო“ უწოდეს. მაგრამ რაც ძველია „საჩინო“ იყო, ესლა დროთა ვითარების გამო „უჩინო“ შეიქნა. ტყუილად კი არ არის ნათელი, წინანი უკანო და უკანანი წინო. თავი და თავი მიზეზი საჩინოს ჩამორჩენისა სხვა იმერეთის ნაწილებთან შედარებით არის უფრობა. ამიერ კავკასიის რკინის გზა ასკილდა საჩინოს და გიარა რიონის მარჯვენა ნაპირზე. დღებდის რიონზე არ გაუკეთებიათ ხილი, რომელსაც შეუძლია მტკიცე კავშირი მისცეს საჩინოს რკინის გზასთან და შეაერთოს ორივე შეარე რიონის ნაპირებისა. სახოფლო გზებიც საჩინოში შეტად უუდ მდგომარეობაშია. ამ მიზეზების გამო საჩინოს ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს და ხალხიც ქონებრივად ჩამორჩენილია სხვა იმერეთის მკეილრთან შედარებით.

შეა ადგილს საჩინოსა შეადგენს სოფელი ვანი. აქ არსებობს სამინისტრო სკოლა, აფთექა და საგაჭრო სახლები. ვაჭრობა უმთავრესად ებრაელების ხელშია, რომელიც უძველეს დროიდან სახლობენ აქ და, როგორც ყოველგან იმერეთში, ლაპარაკობენ მარტო ქართულად, ხოლო ებრაული სჯული მტკიცედ დაუყავთ. უძველესი წარჩინებული გვარი ამ მხარისა იყო ჩიჯვავაძე. ამ გვარის წარმომადგენელი ესლა ცოტალა. ესლან-

ყოფებენ ზამთარ-ზაუნ-ულში. ამ გვარი წარწერების გამოჩენა დღიდ შემომას თხოვულობდა და ერთი კაცისთვის შეუძლებელი იყო. ამას გარდა საჭიროდ ჭრას ჩენენი უცულოთადესი მადლობა გამოუცხადოთ: პატივეუმელ თავადს დ. ზ. ბარათაშვილს, რომელმაც დაცვებმარა ალბულაშის (ზელიკლიფინი) არე-მარის იჩქოლოვანების მშრით გამოყლევაში; თავადს ნ. ვ. ოჩბელიანს, რომელმაც დაბანისის სიძველების გამოსაკვლევათ მაკვიცვია; თავადს გ. ი. ორბელიანს, რომელმაც კაზრეთის და პითაჩეთის სიძველენი გადგაშინევა; და ნამერნავად პატივეუმელს დ. ზ. სარაჯიშვილს, რომელმაც მატერიალური დაბრივება აღმოგვიჩინა ერთ-ერთ მოგზაურობის დროს.



დელ თავიდან-აზნაურობის შეადგენენ ლორთქიფანიძენი, მარცხული ახელედიანები. უკანის ქველი გვარი ლეჩეს უმიღან არის გადმიშვილია სული აქ შემდეგ დროებში.

ენი შესანიშნებია აზნეოლოგიურის მხრითაც. აქ არის პატარა მოვე გორაკი, რომელსაც ირგვლივ მანძილი ექნება არა უმეტეს სამი ვერსისა. გორაკი ბუნებით შეხლუდულია ხრამ-დელეგებით და მისავალი აქვს მარტო ერთის მხრით. ამ გორაკზე ქსლა სახლოაბენ აზნაური ახელედიანები, სულ ათა კომლი, და გორაკი დაყოფილი იქვთ ეზოებად. წინედ, როგორც ცხადიდ სჩანს, მთელი გორაკი სცერიი ქალაქს. ზეზე აქ მარტო ერთი ძველი ნაშთი მოჩანს. ეს არის პატარა ეკლესია თლილის ქვისა, ეხლა დანგრეული. კედლებზე არავითარი წარწერა არ მოიპოვება. მხოლოდ ეკლესის ახლოს ჩვენ ვიპოვეთ ნატეხი პატარა ქვისა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა, როგორც საციქებელი, მაშენებელი ეკლესისა თავის შეილითურთ. შეილის სურათი დაცულია, ხოლო მამისა შენახულა მარტო წელს ქვემოდ. შეილის სურათს ზემოდ ხუცურად აწერია: „ძე ბაკურ.“ წარწერა მამისა არ შენახულა. ეკლესის იატაკის ქვემოდ აკლდამა იქვს ძვლებით სავსე. ამ აკლდამაშ 1889 წელს დიდი ოლიაქითი ასტეხა აღვილობრივ შტოვრებელთა შორის. ხსენებულს წელს აქ შეზობდნენ აზნეოლოგიურის მიზნით ფრანგი იაკობი და ცნობილი დირექტორი წინეთ ქუთაისის გიმნაზიისა და ეხლა ბათონისა ა. ი. სტოიანოვი. როდესაც აკლდამის კარგბს მიაგნეს, ყველის ეგონა, აქ დიდი ხაზინა აღმოჩნდებათ, და მიტომ აღვილად აღარ გაახსნევინეს აკლდამა. მოსთხოვეს ფრანგი იაკობს ანგარიშის გასწორება, რომელმაც ერთ კვირამდის გასტანა, და ამ დროს განმავლობაში შეიორალებული დარჯები აღვნენ თავს ამ აღვილს და დიდი სიუთხილით იცავდენ ვითომიც და ხაზინას. შემდეგ, როდესაც აკლდამა გახსნეს, აღმოჩნდა მხოლოდ ძელები, როგორც მოსალოდნელი იყო.

მიწის თხრის დროს და ისეც, მეტადრე ავტორების შემდეგ, ახელედიანების ეზოში ხშირად პოულობენ თქროს და ვეცხ-



ლის ფულებს, საყურეებს, სამაჯეებს და სხვა-და-სხვა წარმოებს. ამ მხრით ეს პატარა გორაკი კერძის მიტრიდატის მთავარმოქანცევა გონებს. აქ ნაპოვნ ნივთებს უშეტეს შემთხვევაში იძენენ ებრა-ელები და შემდეგ დიდ ფასად ყოლიან. აქ ჯერ კიდევ 1852 წ. იპოვეს გამოქანდაკებული კაცის თავი ბერძნულის ხელობისა (Кавказъ 1852 г. № 36). იმას გარდა ოცის წლის წინეთ ერთ ახვლედიანს მიწის თხრის დროს თავის ეზოში იქ, სადაც ესლა პროკოპი ახვლედიანი ტეოდორობს, უპოვნია ძევლი სასაფლაო, მარმარილოს პატარა კუმოთი. კუპოში ყოფილა ოქროს ჯონი (კვერთხი) გველის მსგავსი თავით, ოქროს ბადე, ოქროს სამაჯეები, ოქროს საყურეები, ბეჭდები, შევიდი ოქროს ფული და სხვა. ყველა ეს ნივთები მნიხელს გაუყიდია ებრაელებზე ჩუმაღ, რომ სხვებ ახვლედიანებს არ შეეტყოთ და წილში არ გამოსდავებოდენ. ნანახი ნივთები ჩეენ ჩამოვთვალეთ გლეხის სიტყვით, რომელიც ახვლედიანს ებრაებოდა ამ ნივთების ამოღებაში და რომელიც დღესაც ცოცხალია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გლეხს ლაპარაკში ცოტა არ იყოს საგნის გაზრიადება შევნიშნეთ. მაგალითად მან გადმოგვცა, რომ ბეჭედს ისეთი თვალი ჰქონდა ჩასმულით, რომ ბნელი ღამე განათლაოთ. ნივთების ამოღება ახვლედიანშა ვერ გამედაო, მე ამოვიდე და შემდეგაც სულ ეშინოდა ახვლედიანს საფლავისო და ვკონებ შიშმა მოუღო აღრე ბოლოთ. ეს საუკეთესო საარხეოლოგიო ნივთები მეცნიერებისთვის სამუდამოდ დაიკარგა, ხოლო ერთი ქვე სხენებული ხაფლავისა თავი სასაფლაოს ქვედ გაუხდიათ ვანის ეკლესის გალავანში. ზოგი რამ ნივთები ფრანგს იკითხს და სტოიანოვსაც უნახავთ 1889 წ. ამ ადგილის მუშაობის დროს.

ამ ოთხი წლის წინეთ (1896 წ.) არხეოლოგიური კომისიის მონდობილობით ჩეენ რამდენიმე ადგილი გვითხარეთ სანიმუშოდ ახვლედიანების ეზოში და ანგარიში წარუდგინედ კომისიის. იმას გარდა დაეთვალიერეთ ყველა ის ნივთები და აქ ნაპოვნი ფულები, რომელიც ჯერ კიდევ არ გაეყიდად პატრიონებს. სხვა და სხვაობა ნივთებისა მიტკიცებულ სხვა და სხვა ტომი კულტურ გავლენას ვანის ქალაქშე. უძველესი ნაშთები ეკუთვ-



ნიან მისირს ანუ ეგვიპტეს. იქ ძლიერ ხშირია მისირის ჰერაკლიონის
ცერტელის ფულები ზედ გამოხატული კურთხს (ამისის) თავით,
რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ ძველ საქართველოში.
ამას გარდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანა-
შემწესთან ლ. გ. ლაპატრინსკისთან ჩვენ ვნახეთ ვანში ნაპოვნი
ჰატარა ოქროს „მასკა“, რომელიც ისე წააგავს ძველ მისირის
ძეგლებზე გამოხატულს სახეებს, თითქვა ამ უკანასკნელებიდან
იყოს გაღმოლებული. ძველი ბერძნების გაელენა წარმოდგენი-
ლია ვერცხლის და ოქროს ფულებით და აგრეთვე აქ ნაპოვნ
გამოქანდაკებულ კაცის თავით. ძეელი რომელების გავლენას
გვიმტკიცებენ აგრეთვე ბევრი ვერცხლის და ოქროს ფულები,
რომმალების დროისა, მეტადრე კეისრების ხანისა, და აგრეთვე
კუბოში ნაპოვნი ნივთები, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლა-
პარაკი. როვორც სჩანს, კუბო თავის ნივთებით ჰკუთნებია რო-
მაელების დროის კაცს ანუ უკედ ვსთქვათ რამაელ დიდებულის
შეიღს. ამას გარდა ჩვენ ვნახეთ იქ სპალენძიდან გაეკეთებული
არწივის სურათი (aquila), რომელიც ეჭვს გაჩერებ რომაულს
ხელიაბას შეადგენს. ვანის ქალაქს არა მცირედი მნიშვნელობა
უნდა ჰქონდოდეს პონტოს მეფეების დროისაც, ვინაიდან პონ-
ტოს მეფეების (მიტრიდატების) ვერცხლის ფულები ძლიერ
ხშირად იპოვება იქ. ვიზანტიის დროისაც ვანი უმნიშვნელო არ
ყოფილა, ჩვენ ვნახეთ რამოდენიმე ოქროს ფული კონსტან-
ტინეს და ელენესი და სხვა ეიზანტიელის მეფეებისა და აგრეთ-
ვე ჰატარა ეკლესია, მიწაში ჩაფლული, რომელზედაც ჰკემოდ
გვიმტება ლაპარაკი. ვანი უნდა ყოფილიყოს ახალშენი ჯერ
ევვაცტელებისა, შემდეგ ბერძნებისა და ბოლოს რომელებისა-
ძეელი რომაული ინდოეთის გზა, ვვონებ, ჯერ ვანშე გაიღლიდა,
შემდეგ ბალდადწე და მერჩე შორაპნით გადადიოდა ლიხის
მთაზე.

ოქროს საყურეები, სამაჯეები, სარტყლების სიმკაული და
აგრეთვე სხვა ნივთებიც ოქროისა, რომელნიც იქ იპოვებიან,
ჩვენის აზრით უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილნი არ არი-
ან, არამედ იქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან



მოტანილი. ძველი ვანის ნიადაგს ყოველგან ემწნევა ოქროსკეთლულება მეტადრე დელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთი და დასახური მოსახლეობით უკლის გორაქს. წშირად აქ კარგი მოზრდილი მარცელებიც შეგხვდებათ ოქროსი. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თოთო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილახ. თუ თქვენ დელე საქვაბისი ნაპირს აჟყვებით, ადვილად დარწმუნდებთ ქარხნების ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოენ ტყვიის დაურჯაკებიდან, რომ ამ დელეში ოქროს სილაუცრიათ და ურეცხიათ და აგრეთვე ქარხნებიც ჰქონიათ.

ქველი ქალაქი ვანისა თავის ნაშთებით დამარხულია ებალინდელი ახვლედიანების კარ-მიდამოში. საღაც არ უნდა მიადგით თხრას ამ გორაკზე, ყოველგან იპოვით ეგრედ წოდებულს „კულტურულ ნიადაგს“, ქვის კედლებს, სხვა-და-სხვა შენობებს, თიხის კურკლის ნატეხებს, ქვევრებს და სხვა. ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზეზედ იმოსვეიციან, მაგრამ ჯეროვანი გამოკვლევა ამ ადგილისა შეუძლებელია, მანამ აქ ახვლედიანები სახლობენ. მუშაობის დროს მათ კარ-მიდამოები უფლებდებათ და წშირად გამოკვლევა რომელიმე ადგილისა და ყარწმუნებით, რომ ახვლედიანების სახლების აუდებლად მუშაობა შეუძლებელია. შაგალითად ერთი სახლი ზედ ძველ სახაფლაოზე უნდა იყოს ჩოქცეული, როგორც ეტყობა აქ შეკვერთან ნოშორებით ცხენიც ყოფილი დამარხულია. ყოველ შემთხვევაში ცხენის თავი აშკარად გამოჩნდა თავის ლიგით, და ამ ადგილის წინაც თქროს რომაული ფულიც ეპოვნა სახლის პატრონს. სასაფლაოზე ჩვენის აზრით გორიაკი (კურგანი) ყოფილა ამაზრული. ძეორე ადგილის, როდესაც ჩვენ ერთი ამაღლებული დაფილი გაეთხარეთ, გამოჩნდა მიწაში ჩაფლული პატარა ეკლესის ნანგრევები თლილის ქვის. თაღში ეკლესისა ჩატანებული ჰქონია პატარა კურები წმის მოხაცემად. სვეტების თავები, რომელნიც საქალებოს აერთებდენ ეკლესისთან ჩუქურთმიანები იყვნენ, მდარე ხელობისა, მაგრამ როგორც ეტყობა, უძველესი დროისა. გამოვაჩინეთ თუ არა ერთი ნაწილი ეკლესისა, იძულებული შევიქნით, მუშაობა შეგვერყვიტა, ვინაიდან ნანგ-



რეკების მიყოლამ დაგვარწმუნა, რომ თუ კირილე იხვლეულაში ჩატარდა
სახლი არ იქმნა აღებული, ისე ხსენებული ეკლესის ნანგ-
რეკების მთელი გამოჩენა შეუძლებელია. მის გარდა სახლს გვერ-
დით მუხა უდგია და ეკლესის უმთავრესი ნაწილი მის ძირების
ქვეშოდ სიღრმეში იყარება ეს მაგალითი გვიწვენებს, რომ ვან ში
შესაძლოა ეიპოვოთ უძევლესი ნაშთებიც ქრისტიანობის პირველ
დროისა, მიწაში ჩაფლული. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ
ძევლი ვანის ქალაქის გათხრა და გამოკვლევა დიდ შუქს მოჰვენს
მისირს, გერძნების, რომიელების და ვიზანტიელების გავლენას
საქართველოში. ეს გამოკვლევა მომავალზეა დამოკიდებული და
ჩევნგან გამოთქმული შენიშვნები მხოლოდ მოსაზრებას წარმოა-
გვიდგენენ იმ მცირეოდენი ნაშთების მიხედვით, რომელნიც
ჩენ ვიპოვნეთ თუ ვნახეთ. ეხლა თავი დაფანებოთ იმ მიწაში
ჩაფლულ ძველი ცახე-ქალაქის ნაშთებს და შეუდგეთ ქრის-
ტიანობის დროის ნაშთებს ვანისა, რომელნიც ჩენ დღემდის
ნაკლებად ვიცოდით. ამ გვარ ნაშთს წარმოადგენს ვანის ეკლე-
სია და მასში დაცული არქეოლოგიური ნივთები. სენებულა
ეკლესია ცოტა მოცილებით არის იხელედიანების კარ-მიდა-
მოზე და შეადგინს უმთავრესს ეკლესიას მოედს საჩინოში.

განის ეგვიპტა. ვანის ეკლესია მიქელ მთავარიანგელო-
ზისა უკუმშათოა. აშენებულია ადგილობრივი თლილის ქვასა-
გან. სივრცე აქვს 19 ადლი, განი 10 ადლი და 13 გოჯი
(ჩრდილოეთის ეკვდერს აქ არ ვათვლით). დასავლეთის კედრით
ეკლესიას მიშენებული აქვს საქალებო შემდეგის დროისა,
ჩრდილოეთის კედრით არის ეკვდერი აგრეთვე, როგორც ეტყო-
ბა, შემდეგის დროისა. ეკვდერს არ უჭირავს მთელი სიგრძე
მკლესისა, არამედ სიგრძე აქვს 10 ადლი და 13 გოჯი, განი 7 ად-
ლი და 6 გოჯი. ჩრდილოეთის ეკვდერი აშენებული უნდა იყოს
ძევლად წარჩინებულის ადგილობრივ მებატონის ჩიჯავაძეებისა-
გან. ეკვდერი მათი სამარხავი ყოფილა. ეკვდერის კედლები შიგ-
ნით ყოფილი მთლად დახატული, ხელობა მხატვრობისა მდარეა.
მხატვრობას ასო მთავრული წარწერები აქვს. აქვე ყოფილა



დახატული მაშენებლები ეკვდრისა და სხვა პირნიცა ქრისტიანული ძეგლის გვარისა, მაგრამ მათი წარწერები აღარ ჩანანაშაულისათვის სამხრეთის კედელზე დახატულთ კაცს და ქალს ქართულის დიდებული ტანისამოსით ძლიერ-და შერჩენიათ წარწერა, რომელშიაც ამოვიყითხეთ სიტყვები:

[მ]ავარი ჭხტნ (ვახტანგ). მიქელაშის ქალი ხეარამზე.

ეკლესიას წინედ ეკვდერი ჰქონია სამხრეთის კედრითაც. მაგრამ შემდევ მოუშლიათ, და კარი მოუშენებით. ეხლა დარჩენილია სამი კარი, ერთი დასავლეთისა და ორი ჩრდილოეთის კედელში. ერთი ამათვანი ეკვდერისათვის გაუქრიათ. ეკლესიას სულ ხუთი ფანჯარა იქნა: სამი აღმოსავლეთის კედრით და თითო ჩრდილოეთის და სამხრეთის კედრით. აღმოსავლეთის ფანჯარების ზემო პირები შემკუბილია ჩუქურთმიანი ქვების არმიებით. ამას გარდა აღმოსავლეთის კედელში ჩატანებულია ქვიდან გამოქანდაკებული გეგმა ეკლესიისა. დასავლეთის კედელში ჩატანებულია წმინდის გორგის ქანდაკი ლამაზი ასომთავრული წარწერით

ზემოთ:

წო გი

ქვემოთ:

წო გი მთვრია მწმო გი

წე ღისა ღღმთა ევვხა

ღღსა და უღრისა გის

ხელობა ამ ქანდაკის და იგრეთვე ხასიათი ასომთავრულისა ჩვენ მაინდამაინც ძველ ნაშთით არ მიგვიწინა. სიტყვა „ღღმთა“ უნდა იყოთხებოდეს ჩვენის აზრით „ღღლობერითეთა“, რომელიც სხვა წყაროებში ერისთავად არ ისსენებიან.

ამავე კედელშია ჩატანებული მერმენდელი უშნო გამოქანდაკებული სურათი სხვა წმიდანისა ჯვარით ხელში და უშნო მხედრულის წარწერით, რომელიც ჩვენ წამოსელის ხანს შევ-

ნიშნეთ და გარჩევა ველარ მოვასწარით. შიგნით ეკლესიანული
იატაკი აქვს ქეისა. კედლები წინედ დახათული ყოფილი, შაგუ-
რამ ქსლა სურათები ეპინევა მხოლოდ საკურთხეველში, ეკლე-
სის კედლები კირით არის შეთეთრებული და სურათები იარ
სჩანან. საკურთხეველის კედელში შიგნიდან დატანებულია სიმი
ჩაღრმევება (ნიში), რომელთა შორის ერთი ისე დიდია, რომ
კაცი ადეილად დაგდება შიგ. როდის ან ვისგან არის ვანის
ეკლესია აშენებული არა სჩანს, მაგრამ ჩეუნის აზრით მეორეთ-
მეტე საკურნის უზინდელ დროს არ უნდა ეკუთვნოდეს. ვანის
ეკლესია წინედ მონასტერი ყოფილა და მონასტერად არის
მოხსენებული ძველ საბუთებში.

დასავლეთის მხრით ვანის ეკლესისა ამართულია მაღალი
სამრეკლო თლილის ქეისა. ქვემო ნაწილი სამრეკლოსი ექვა-
კუთხები სხისა წარმოადგენს ოთასს. სამრეკლო ერთი დროის
არ არის ეკლესისთან. სამრეკლო ყაველ შემოხვევაში უკე-
თესი ნაშენებია ვიღრე ეკლესია.

ვანის ეკლესის აჩხოლოგიურ ნიერთა შორის საკურა-
დებორი არიან შემდეგნი:

1) დიდი ხატი ღვთის მშობლისა, $130,2 \times 81$ სანტიმეტრი,
ვერცხლის აშიით. ამ ხატზე ორი ამობერილი სურათია ღვთის
მშობლისა მაცხოვერითურთ, ერთი დიდი შუაში და მეორე პა-
რარა ქვემოდ. დიდი სურათი ღვთისმშობლისა ირგვლივ შემ-
კობილია სხვა ამ გვარივე ხელობის სურათებით ათარიმეტა
საუფლოთა და სხვებით. აქ წარმოადგენილია ხარება, შობა,
მირქმა, ნათლისღბა, ფერისცვალება, იერუსალიმში შესელა,
გოლგოთაზე წასვლა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, მეორედ
მოხველა, მიძინება ღვთისმშობლისა და სხვა. თითოეული სუ-
რათი ცალკე ნაკერს წარმოადგენს და ეს ნაკერები მიჰედილია
ხატის ფიცარზე. პატარა ღვთისმშობლის სურათს ზემოდ ცოტა
არ იყოს დაზიანებული ასომთავრული წარწერა მოიპოვება. ეს
წარწერა ცალკე ვერცხლის უზრული ყოფალა გაკეთებული, მაგ-
რამ მოხველეს, როდესაც სურათები მოუთავსებია ხატის ფიცარზე,
მთელი წარწერისა აღვილი აღარ დაჩინია. ამიტომ დაწერილია



ფურცელი გაუტრია და მარცხნი ნიშილი მისი ფალკე ფერმით გა
მიუჭიდია. წარწერა იყითხება ასე:

1. წ. [მშობე]ლო ქრისთე (sic) ღმრთისო ჩვენო შეეწიე და
2. შეიწყალე და აცხოვნე: სული ამ
3. ის მომცელის ფრიად ცოდეილის
4. ქაიხოსროს ლალიაშეილის: სულის: ცვლა
5. დის და მარაის და უკუნით უკუ
6. ნისამდე ამინ: უფალო ეინცა ამის შენდობა
7. უთხრა თქვენცა შეგინდოს ღმერთმა.

ქვემო აშიაზე იმავე ხატისა და ცულია სამ სტრიქონიანი
წარწერი, მაგრამ სამთავე । ტრიქონებს თავი და ბოლო აკლიათ:

1. [...ვ]გლს: მოდგინე: მე: ვახუშტი: ჩიჯაძემან: და::
თანა: მეცხედრემან: ჩემა ბატონმან: ანა:
ჰილაძის [ასულმა შემკობად ხატისა
- 2 ამის] ყოვლა: წმიდას: თორმეტ საუფლოთა:
სახსრად: და: საოხად: ფრიად ცოდეილსა:
სულის: ჩინისაეის: ყოვლადე[კ აწ და მარადის და
- 3 უკუ]ნისამდე: ამინ: უაღოა: ეინცა: ამთ
შენდობა უთხრა: შენცა: შეგინდოს ღმერთმა:

II . ყერცლის ხატი მიქელ მთავარ ანგელოზის, 66,5 × 43,8
სანტიმეტრი. ზემო აშიაზე აქვს მხედრული წარწერა, რომლის
თავი და ბოლო დაფარულია სხვა გვერდის აშეგბით:

1. [მო]ვაპედინე ხატი ესე ზეშთა ნათელ თვალ შეუდგამისა
და მთავრისა წინაშე მდევომარის ძალთა და ბძინებათა ლო.*
2. და მის ყოფითა აღმასრულებელისა დიდისა უკორცოთ
ძალთა ნითავრისა მიქაელისა მეფედ ცოდეილმან ჩიჯავა[ძემან]
3. [ვა]ხუშტი სულისა ჩემისა და ახალ მიცვალებულისა მე-
ულისა ჩემისა ღოლაბერიძის

4. [ასუ]ლისა მარებისა სალხინებელად და ძეთა და ამჟღაპნერული
ჩერთა სადლეცრძელოდ.

III. ოქტოთ დაფურილი ვერცხლის ხატი მთავარ ანგელოზ-
თა მიქაელისა და გაბრიელისა, 54,5 × 42,6 სანტიმეტრი. ზემოდ
გამოხატულია ქრისტე ბერძნულის წარწერით: ΙΧ ΧΙΧ. ქვემოდ
მთავარ-ანგელოზნები ბერძნულივე წარწერით: ΜΧΔ, ΓΒΔ. ზე-
მო აშიაზე აქვს მხედრული წარწერა:

1. ქ: ჩენ: საქართველოს: ჯანიშინშა: ბატონის: შეიღმინ:
ვახტანგ: მოვაჭედინეთ: ხატი: ესე: მას: ქამსა: ოდეს: სულ
კურთხეული: სიძე: ჩენი:

2. ჩიჯავაძე: საზევერელი: მიცვალა: ეს: ხატი: მათის: სასოფ-
ლოსი: მათის: სულის: საოხად: და: სახსრად: მოვაჭედი-
ნებია: ქეს: იქათს: ჩლე: თვესა: იანერისა: კვა:

ჩენს წყაროებში ცნობილი არ არის, რომ ვახტანგ მეექვთის
სიძე ყოფილიყოს საზევერელი ჩიჯავაძე.

IV. ხის ხატი ივანე ნათლისმცემლისა გაძარცულია. დარ-
წენილია მარტო სურათები სახარების შინაარსილან ქართულის
წარწერით. ნაწილები არ შენახულან.

V. ოქტოთ დაფურილი ხატი ლვისმშობლისა ოთხი ძვირ-
ფისი ქვით (ზურმუხტით და ლალებით). ქვემო არშიაზე ყოფი-
ლია წარწერა, მაგრამ არშია ეხლა შემოძარცული აქვს. ჩენ
გადმოგვცეს, რომ ეს წარწერა ინახება გრიცორი ლორთქიცივანი-
ძის ოჯახშით, მაგრამ ჩენ ეცდარ ენახეთ. ლეთისმშობლის და
მაცხოვრის სახეებს აწერით:

დედა ღ' ა ძე ღ' ა.

VI. ვერცხლის ჯამი მხედრულის წარწერით:

წინაშემდეგარი სვიმონ მოიხსენოს ღ' ნ.



VII. ხის დასაკეცი ხატი ათორმეტთა საუფლოთა ათურნულის და სელობისა, ვერცხლის არშიებით, რომელთა შორის ზოგი ვიძარულია. ჩხედრული წარწერა არშიებზე ალაგ ალაგ აღარა სხანს, მხოლოდ იყიოთხება:

ქ: ეს თორმეტი საუფლო გენათლის გედეონისა...

VIII. ძველ ხელნაწერთა შორის ვანში შენახულა მარტო ერთი ტყავის სახარება, მაგრამ ეს სახარება თავის სურათებით, საუცხოო ხელოვნების შემკუპილობით, სათაურებით და ასო-მთავრულებით ათას სხვა ხელნაწერად ღირს. პირველად ამ სახარებას მიაქცია ყურადღება ა. ი. სტოიანოვმა, რომლის თხოვნით ეს ტყავის წიგნი გელათში გადიტანეს, მაგრამ შემდეგ ვანის საზოგადოებამ მოითხოვა უკან სახარება, რომელიც უკვი დაუბრუნდა ვანის ეკლესის. ვანის სახარება ჩასვენებულია მდი-დარ ხელოვნურად შემკუპილ კუბოში, რომელიც მოვაკეონებს წიგნის ყდას. შემდეგ ეს კუბო თავის სახარებით წადებულია მეორე ვერცხლის უბრალო ბუდეში, რომელიც ზემოდ სისქეზე იღება მხოლოდ, და უკანასკნელად სახარება ამ ორი კუბოთი ერთად მოთავსებულია ტყავის ჩანთაში, რომელსაც მობმული იქნა ვერცხლის ძეწყვი მხარშე ჩამოსაყიდათ. ამ ვარეტოებს დაუცავს ვანის სახარება დროთა მსვლელობისაგან და კარგა-დაც მოუღწევია ჩვენამდის. ხელოვნურად ნაკედ ბუდეზე წარ-მოდგენილია ამობერეილი სურათები იქნა ქრისტეს აღდგო-მისა და ჯოვანხეთში ჩასვლისა ცველა წევულებრივის სცენებით. მეორე მხარეს ჯვარუმა გამოსახული. ხსნებულ ბუდეზე წარ-მოდგენილნი არიან აგრეთვე თხოვე მახარობელნი თავიანთ ემბლემებით. ეს ხელოვნური ბუდე თურმე ერთად ერთი წარ-მომაღვენელია იმისი, რასაც ვიზანტიულები უწოდებუნენ „თეკე“ს. ექვს გარეშე, რომ ეს სახარება ზემო აღნიშ-ნული ბუდითურთ წარმოვადგენს ქართულ ხელობას თამარ მეფის დროისას და ეს ქართული ხელობა ამ ბუდისა და სახა-რებისა იცნო მეცნიერმა ნ. კანდაკივმა, რომლის მშვენიერ აღწერაზე ამ ნაშთისა ხელოვნების მხრით მიუთითებთ მკით-

ხელს და აქ საუბარს არ გავაგძელებთ. სახარება უნიტარულია გელათში ყოფნის დროს ხენებულს მეცნიერს ნ. კანდაკოვის მიერთავად და დ. ბაქრაძეს (იხ. ოშიე შა. დრ. ვ. ჩხ. ხრ. ი მონ. გრამი, სტ. 47—50). რაც შექმნება წარწერებს დანის სახარებისა, ამათზე შემოკლებული ცნობებია შეტანილი რუსულად ზემო ნაჩვენებ შრომაში, ქართული ტექსტი სრულებით დაბეჭდილი არ არის და ზოგიერთი წარწერებიც მოხსენებული არ არის. მაგალითად გარევან ვერცხლის კუბოს წარწერა სრულებით არ ისენიება. ნამდვილად კი აქ სწერია შედრულად:

1. ქ.: გენერებითი;. ჩენ: ცოდვილი;. ესე ჩიჯავაძე;. ვახუ-
შტი;. და..
2. თანა:. მეცხელრე;. ჩენი;. ლოლაბერიძის;. ქალი;. მარქ;. თქვენ
3. ენ: შემბრალეთა;. და;. შემწუნარებელთა: ჩენთა;. თქვენ: .
ოთხთა:.
4. თივთა;. შახარებელთა;. მითე;. მარკოზ;. ლუკა:;. და;. იოვა-
ნეს;. ძევლადვ
5. ე: ჩენთა;. სახლთაგანვე;. მოჭედილი;. ბრძანებულ:.
ხართ;, ფამთა:.
6. გამოსვლისაგან:. დარცეულ:. ხართ;. სხვეფ:; გასაკეთებლად:.
ხელი:. არ შე
7. გემართოდათ:. სხვა:. ვერა:. გავბედეთ:. რა:. კუბო:. შეგიმ-
ზალეთ;. აწ:;. შადლისა:.
8. თქვენისათვეი;. შას:. გრძელს:. საუკუნოს:. ცოდვილს:.
სულსა:. ჩენსა:. შემწე:;. და;. მეოს:. ეყვენით:.

თეთი სახარება $29,4 \times 20,7$ სანტიმეტრი, ნაწერია შვე-
ნიერ ეტრატჰე მოსხო ნუსა ხუცურით ორ სეეტად. თითოე-
ულს სვეტზე დატეულია 21 სტრიქონი, მეთაური ასოები და
სათაურები ნაწერია ოქროთი. კომარები მშვენიერი ნახელადია.
აგრეთვე საუცხოე ფერადებით არის დახატული ოთხი მახა-
რობელი და იქსო ქრისტე, რომელიც აკურთხებს ოთხ მახა-
რობელს. სულ სახარება შეიცავს 274 კაბალონს.

მარკოზის სახარების ბოლოს მე-126 კაბადონის შემოწმები
გვერდზე ტექსტის ხელით სწერია:



წ'ნო მახარებელნო
გ'ნმაძლიერეთ ცუ-
დეილი ი'ე რ'ნ ფ'დსა
უძლ'რბასა შ'ა მყოფ-
მან კ'ლ ვყავ წერით,
მოსაქმებად წ'ისა ამის
სახარებისა:-

ითანე შახარობელის ბოლოს მოყვანილია პირველიდ ან-
დერძი გიორგი მთაწმინდელისა:

ესე საცნაურ იყ'ვნ კ'ლთა:
რ ესე წ'ა ოთხთ'ვი ახლ'დ
გვთარგმნია*). ფ'ლითა იძ-
ულებითა შ'მთა ვიეთ-
მე სლრ'თამთა. და ბერ
ძულთა სხ'რებათა და
შეგვიწამებია. ფ'ლითა გ-
ამოწულლებითა. და
ვინცა ვინ დასწერდეთ.
ვითა აქა ჰპოოთ ვე
რე დაწერეთ. თუ ამის
გ'ნ ჯერ გიჩნდეს დაწე
რამ. ლ'თისა თ'ს სიტყ'თა
ნუ სცეალებთ. ა'დ ვ'ა
აქა სწერია ეგრე და-
წერეთ. და თუ არა რ'ა
მე გაშუნდეს ჩნ'ნი ყ'ნი
სხრ'ებანი პ'ლოგ'ნ წ'დად

*) ზოგიერთ სხვა ვარიანტებში გიორგის რედაქციის სახარებისა სწე-
რია: უარა ახლად გვთარგმნია*, რომელიც უფრო საჭეშმარიტოა.

თარგმნლნია და კთლად
 ხან მეტნიცა და საბა წმი.
 დურნიცა. მუნიც დაწე-
 რეთ. ღისათვს ერთ-
 მანეროსა ნუ გაძრევთ.
 და გლეჭკისა
 გეორგისთვის რა ესე
 ვთარგმნე ლუცა ცვლა^{*)} .

• • • • • , • • • • •

ამას შემდეგ უფრო წვრილი ასოებით მოთავსებულია
 ბოლო სიტყვაობა თვით სახარების გადამწერისა:

სყრელნი ჯერ არს რა წესა ამის
 სხრბისა ერობა: გრემარტოს სიწ-
 მიდეს თქვენსა: და არა თვთ შჯლბით
 ჰეონოთ შეცელა სიტყუთად წისა ამს სა-
 ხრბისა. ანუ ანდრებთ. ად ესე სა-
 ცნოურ კუნ კულთა რ კუნივე ქა-
 რთულნი სხრბნი მთა წით აღწე-
 რლნი და გამოსჩულნი ლირისისა
 მმისა გის თარგმნილნი. საეკლე-
 სიომასა სახარებისგნ რლ მთწ-
 მიდელნი იქმარებენ აღწერილ
 ნი არიან: და არა მისგნ რლი
 თვთ გი თარგმნა და ნუსხად მდე-
 ბარე იყო დიდსა წიგნის საცესა:.
 ად მისგნ გარდაწერილის გნ:
 და მას ნუსხას თა ფრდი ნაკ-
 ლულევანება აქს და ეჭ-

^{*)} ზოგჯერ აშიებხე შენიშვნებია თვით გიორგისა. მაგალითად მე-66
 კაბადონის აშიაშე სწერია: „არცა ძეზ, ესე სიტყვა სამთა ბერძულთა
 სახარებათა არა ეწერა: არცა მე დავსწერე“.

გონებ ჩ'ლ თვი შჯ-ლობით ვიეთ-
მე ეკადროს მ'ს შა შეცვლად
სიტკვეს გინა ინდერძისად ვე
შეწყრლისგ'ნ გ'ნრყუნად: ს ჩ'ნ-
თა ამათ შა ე'თა. დიდი მ'ღწეთა
შ'ს ბერი ზაქარია მორიენიდა მთ-
ასა წ'ა, ძიებად ყო გ'ის მ'რ აღწე-
რილისა წ'ისა მის ს'ხრებისათვეს: და
პოა დიდა წიგნის საცავსა შ'ა:
და აღიცსო სიხრ'ლითა: და მ'რ
გაღმოეწერა შატბერდელსა ხ-
უცესსა სტ'ფნეს და აღმორავი-
და, რომანიას: მე კ'ლთ ვყავ ცოდეილ-
ზნ ი' აღწერად: რ აღრითვებ'ნ ხ-
წყუროდა ს'ლსა ჩემსა მოგებად წ'სა სახ'რე-
ბისა: აწ' ვინცა სწერდეთ
ეითა იქა მშოოთ, ეგრე დაწერეთ წენტილითა: და
პტ' ვთა ზ'ა მეორითა
სიტკვთა: რ ანდერძი ვითა აქა სწერია
ესრე პოვნილ არს ნუსხეს:.

ამას ქეყოდ ორი სტრიქონი ბერძნული ასომთავრუ-
ლი წარწერაა და შემდეგ შე-XII საუკუნის მხედრულის ხელით
სწერია:

- ქ. ესე სახარებაი: მე ი'ნე ულირსმან: სპუარმან და მლო-
ცელმან: წ'ის: *)
- დედუფლის: თამარისმან ვიოფლე: წერით: ქალაქ'ა შინა
კონსტანტინპოლის: ლოცვა ყავთ:
ჭ'ლთა:

*) ეს არა პირველი მაგალითია, რომ თანა მედროვენი თამარ დე-
დოფალს „წმიდათ“ მოიხსენებენ.

7/3.892
3

შემდეგ ტექსტით ხელით სწერია:

და და მაღლობა, ღრთისა მიხეხისა
ყულთა კოლთამსა: და მომღებელისა:



მე-274 კაბადონის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით
XIII—XIV საუკუნისა სწერია:


„წ. შემოსწირა: წმიდა: ესე ოთხთავი: პატოონბან ნათ-
ამინ ჩუენ: საბოთარსა: და შორეთელთა: პირველ ზარ-
სა: მაცხოვერისასა: და წ'ისა: ვ'ი: შოროოთისასა და წ'ისა ნიკ'ის:
სააღაპედ: მისისა შეუღლისა ბეჭისა: შალვა არტან-
უჯელისად შეიღისათუის: და მისთუის: და ჩუენ გაუჩინ-
ეთ აღაპი: ქ'ეს: შობისა: წ'თა კურიაკესა: დღესა: გარდა-
კაფებოდეს ტრაპეზით: კარგი და საპატიოი: სრული
და დაუკლებელი: აღაპი: და რაოდენნიც მღდელნი იყუნ-
ენ უაშა უწირვიდენ პატრონსა: ბეჭისა: და მისსა მეუღლე
კოფილსა ნათანიხოს: და ნუ დააკლებენ წირვესა: მოქა-
ვნებისა: და შენდობასა: მას მწერხსა ცისკრად: და წირვეს
ზედა: მღდელნი და მწირხნი და პლოცეიდენ და შენდობითა მოიკავენ-
ებდენ და ეინც: და კლოს და უგულებელს ყოს: იყონ კრულ
წყეულ და შეწენებულ: და დამამტკიცებელი: ღრთმან აკურ-
თხნეს და დაამტკიცეს ამინ::"

აქ მოხსენებული პირნი ნათად (ნათელა) ინუ ნათანი-
ხოს და მისი მეუღლე ბეჭა, შალვა არტანუჯელის შეიღი, სხვა
წყაროებში ცნობილი არ არიან.

მე-273 კაბადონის მეორე გვერდზე მე-XVIII საუკუნის
მხედრულით სწერია:

„ქ. ჩუენ აფხაზეთისა კათალიკოსმან და მეფის მემან იოანებ
დავითსენით წმინდა ესე სახირება და გამოიყითხეთ და საჩინოს

FS — 4681
II



յան մտացար անցըլունիս ցյուղեսօնիս Շեմինրապա պահապահապա կորցըլ. դա աելա ուսց յև հիմո նացուո սահարցմանիշտմանց յան մտացար անցըլունիս ցյուղեսօնսաւցու Շեմինրապա ռարոց զբանու կութուո դա մօսու զբանու մը Շեմինրապա կութուո հիմտա սասուուցըլու դա սաւլու հիմտա սասուալ. պահապա սամլապալու կութուուլու մուրուուպուուլու մայսումը մութուունու. դա զոնց յև հիմո նացուո մի ցյուղեսօն զամուսինրան Շեմինրապա կութուուլու ուցու ամոն. დա ամինրա կութուուլունս շից օյցու ատակ մզութան սամլապա ույյէցսմէցս դա ուցու մասուսա. ոծ. մը արծու գուայուն ցյուցումը գամինրան ք մոթամբու զար ամոսու.՝⁴

Ցանկացած
ուսցեց

ամաս Շեմինրապա կութուուլու ուցու կութուուլու մուրուուպուուլունու մայսումը դա Շեման ունու ծցուու մայսումը ու:

կութուուլու մուրուուպուուլունու
մայսումը զամբուուլու զոնց զա-
մուսինրան Շեմինրապա կութուուլու
ուցու ամոն.

ամ Շահնշահու մոսեցնեպա ուսցեց ապիսիցուու կատուուու-
յունու ուցու մը մուրուու մը ուցու ալլույսանդրա V (1727—1752) դա
մմա մուրուու մը ուցու սալուումոն I.

մուկուու ուսւուրու զանու սահարցմուս, հոգուու սիանս Շահ-
նշահուունու այցու պատուու:

զոնմից նախու ծցու մտավունդանց ունածու սահարցմա այ-
րուցրագու զուուրու մտավունդապաս դա զալմուպանրա, նայարուաս
սահարցմու պալուուն զալմուպանրա սահարցմա նալընդապա մը լու-
պան սերուանց, դա սերուանց զալմուպանրա նոսնուուն զալ-
մուպանրա զանու սահարցմա ռամար մը ուցու սուուպանըն մօսց
մը ուցու զանց. ռամանա մը ուցու զանց կունսը սուուպանըն մօսց
մը ուցու զանց ուսցու սահարցմա ռամար մը ուցու զանց կունսը սուուպանըն IX

საუკუნეში იდგარდონ ქართველის მიერ. ეს საეპე ცნობილი მარტინ სახახასტრიდის სახელით. ჩევნის ფიქრით, სახარება თამარ დედოფლის ბიბლიოთეკას უნდა კუთნებოდა. შემდეგ ვანის სახარება შალვა არტანუჯელის ცოლის ნათას ანუ ნათანიხოს ჩავარდნია ხელში და შეუწირავს შარვეთის ეკლესიისაფის, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მაზრაში, მდინარე ასპინძის სათავეში, და იქამომდის გვარიანთ არის დაცული. სათაბაგოდან, ილბად ამ მხარეს გათათრების შემდეგ, სახარება გადმოუტანიათ ვაწში. ამას შემდეგ ეს ვანი ერთხელ კიდევ დაკარგულა და გამოუყიდია იუბაზეთის კათალიკოზე მეცის ძეს იოსებს 1776 წელს და დაუბრუნებია ისევ ვანის ეკლესიისათვის საჩინოში. ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც თვით სახარება ვანისა იშევით ნაშთს წარმოადგენს ხელოვნებისა, იმდენიდან და გაცილებით მეტად კიდევ შესანიშნავია კუბო სახარებისა, რომელიც ისეთ თვალსაჩინოს და ძეირფის ნაშთს ეკუთვნის ქართველის ხელოვნებისას, როგორიც არის ხახულის ლეთის შემობელი გელათში და ანჩის ხატი ტუილისში.

ისრათ. ვანის ზემოდ მდინარე სულორის მარცხნა ნაპირზე სოფელ ისრითში არის პატარა ძველი ეკლესია წმიდის გიორგისა თლილის ქვებით ნაშენი. დასავლეთის მხრით ეკლესიას მიშენებული აქეს ფიტრის ეკვდერი. ეკლესის სივე აქეს 8 ადლი და 9 გოჯი, ვანი შეიღი ადლი და ორნახევარი გოჯი. კარი წინედ ერთი პერნია სამხრეთის კედლით და შემდეგ გაუკეთებიად მეორე კარი დასავლეთის მხრითაც ეკვდერისათვის. ამ პატარა ეკლესის კარს და ორ სარკმელს აღმოსავლეთისა და დასავლეთისას ჩუქურთმის შემკობილება აქეს იმგვარიე ხელობისა, როგორც კაბენის და გუდარების მონასტრებს. და ამიტომ ეს პატარა საყდარი მე-XII—XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარი შემკობილება საყდრის ფანჯრებისა და კარისა სხვა საჩინოს ეკლესიებზე ჩვენ არ გვინახავთ. შეინით ეკლესია დახატული ყოფილა ძველათ. ნაშთი მხატვრობისა ემ-



ჩნევა კიდევ საკურთხეველის კედლებს. დასავლეთ ყაზახულშიცა დაზატული ყოფილი კაცი დიდებულის ქართულის ტრადიციებისგან
და იმ მხატვრობას წარწერაც ჰქონია, რომლიდან დარჩენილა
მარტო ორი ასო ...დრო...

კანკელი ეკლესიაში ხისაა ახალი. ძველი ხატები აქ არ
შენახულია. მოიპოვება მხოლოდ ორი ხატი წმიდა გიორ-
გისა ფილარზე ნახატი. ერთს ვერცხლის არშია ჰქონია, რო-
მელიც მოუძარცავთ, მხოლოდ რამოდენიმე ქვა კიდევ შერ-
ჩენია ხატს. ამას გარდა იქვე დაცულია კიდევ ხატი წმ. ბა-
სილისა ფილარზევე ნახატი. ეკლესია მთელია, მაგრამ ეხლა
გაუქმებული.

დისაშხო. ეინს და ისრითს შეა ერთ ბორცვზე სოფელ
დისაშხოში არის ეკლესია სამებისა, რიყის ქვით ნაშენია, სიგრძე
აქვს 11 ადლი და 7 გოჯი, განი 6 ადლი და 6 გოჯი. კარი
აქვს მარტო სამხრეთის კედრით, ფონჯარი ოთხია: ორი სა.
მხრეთით და თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამ ეკლე-
სის ღამისი ილებასტრის კანკელი აქვს და ზემოდ აწერია მხე-
დრულად:

„ქ. ყოვლისა შემძლებელო და ცხოველ მყოფელო სამე-
ბაო წმიდაო, ნათელო დაუსაბამო ძალთაგან შემოქმედი ქვე-
ლის მოქმედებითა შენითა არა არსისაგან არსებიდ მოიყვანენ
ყოველნი, შენ მიერისა მოწყვალებისა მომღლოდნეთა თავადთა:
ლორთქითანიძე როსტომ, ტატუ, ბერან და ბესო ეისურვეთ და
გიძლევით მცირე ქსე მსახურება. შეიწირე ვითარცა მწვლი-
ლი ქრისტიანი, ცრემლი პეტრესი, სულთქშა მეზვერისა და დაგვი-
ფარე ბოროტისაგან, უუმოსა სიკვდილისაგან, და საშინელია
მას დღესა განკითხვისასა ლირს მყვენ მარჯვენითთა თანა ალ-
რაცხვად“.

ეს წარწერა ძველი არ არის და უნდა ეკუთვნოდეს მე
ცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედს. აქ მოხსენებულ პირთა
შეიღები ზოგი დღესაც ცოცხალია.



შიგნით კედლებზე დახატული არიან ლორთქული მარტინი მარტინი გვარეულობის პირი. ერთს მათგანს ხელში უჭირული უკუმარესა მა ცეკვესისა. სურათებს წარწერებიც აქვს, მაგრამ ჩვენ არ გადოგვილია, ვინაიდგან ღამე მოგვიხდა ხსენებული ცეკვესის ნახვა.

სოფელ ღიხაშეოს მღედელთან ჩვენ ვნახეთ ხელ ნაწერი წიგნი სინათლისაფიც კუთვნილი გრიგორი ლორთქითანიძისა-წიგნი, როგორც ვიცით, ნითარემნია არჩილ მეუს თაოსნობით. თავში სწერია: „ზინდუკი წიგნისა ამის საქმეთა რასა გარე შეი-ცავს. შემოკლებით მოთხრობათა დაწყებული დასაბამითეან სოფლისა მეფობადმდე კოსტანტინე პალიოლოთისა უკანასკნე-ლისა ბერძნთა მეფისა“. სულ ხელნაწერი შეიცავს 245 კაბა-დონს.

სადგური. სოფელ ვანს ქვემოდ სოფელ სალგერში ორი პატარა ცეკვესია მოიპოვება, ერთი კარის ცეკვესია ჩიჯვაძეე-ბისა, რომელიც ჩვენ არ გავიშინჯავს, და შეორე დანგრეული უბრალო ქვისა.

ქედა. ხუთის ვერსის ქვემოდ სოფელ ვანისა მღებარეობს სოფელი ქედა. ქედაში გორაზე წამოდგმულია ქვის ცეკვესია წმ. გიორგისა, სიგდე აქვს 16 ადლი და 7 გოჯი, განი 11 ადლი და 9 გოჯი. ეს ცეკვესია ძველი არ არის, მაგრამ ძველი მა-ლესის ადგილზეა აშენებული და ზოგიერთი ქვები ძველი ცე-კვესისა მოუმარტინებიათ ამისათვის. კანკელი ხისა აქვს და ხა-ტები კანკელისა ტილოზეა ნახატი, სხვათა შორის აქ დახა-ტულია ქრისტეს შემდეგ წმიდა ნინოც.

I. თავი ხატი წმიდა გიორგის ცეკლისა არის, $47 \times 33,5$ სანტიმეტრი, და შემდევი ასომთაერული წარწერა აქვს:

ქ. წმიდა გიორგი
ქესათ ადიდე ხე
ვი ქედელი ნადს
ფოთელს შეს ღმობ
ა ხის ხფრეს ნიკს

გვერდის ქოფოს მნინა
შეილს შედს ღმერთმა



სსენტებულ ხატზე წმიდა გიორგის სურათის ვარდა ცხენით
გამოხატულია ორშიებზე მახარობლები, წმ. პეტრე, წმ. ბასილი,
წმ. მარინე, გრიგორი ღვთის მეტყველი და სხვა. ამას ვარდა
აშიებზე წარმოდგენილია სცენტი წმიდის გიორგის ცხოვრები-
დან: ურმის თვალით ტანჯვა, თავის კვეთა და სხვა. ხატს აქვს
წმიდა გიორგის ნაწილები ტალკე კარებით. ხელობა მდარე.

II. ვერცხლისავე ხატს ღვთისშვიბლისა, $14,5 \times 14$ სანტი-
მეტრი, ექვსი ძეირფასი ქვით შემკობილს აქვს მხედრული წარ-
წერა:

რ ჭ ჭ

ესე: ხატი: მოკედე: მე
თევლა: მინაშეილმა:
ჩემის: სულის: სახსრად:

III. ვერცხლის ჯვარი ტარზე ჩამოსაცმელი, $32,7 \times 24$
სანტიმეტრი, აქვს ორი ლალი, და მდარე ნახელიავია.

IV. სპილენძის დასაკეტი ხატი თორჩეტ საუფლოთა.

V. კამარა ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. შემოგწირეთ. ესე. შესწირავი. წმიდას.
შთავარ. ანგელოსის. ეკლესის. ღინარილის.
შეუდლებ. ბარბარებ. ფეშეუმი. და. კამარა.
ჩემის. მიცვალებულის. სულის. სმენხთ. რომელმაც.
გამოსწოროს. რისხამდეს. საუკუნოთ. მამა. და. ძე.
და სული \times წმიდა \times თვესა. იანვარისა. ი. ჩემგ. წელსა.

VI. ხელნაწერი აქ ინახება მარტო ერთი. ეს არის ფსალ-
მუნების თარგმანი სულ 15 კაბადონი მხედრულის ხელით ნა-

წერი. სათაურები ხუცური ძევს წითელი მელნით შესრულებულია ლი. დასაწყისი: „მოპსუქ გამსა მას საუკუნესა, და კულტურული კისა რაღა ემსა“. ხელნაწერი ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნეს წერის მიხედვით და არაფერს საყურადღებოს არ წარმოგვიდგენს.

მგელი ტობანიერი. ძველი ტობანიერი ძევს შთაში ოთხი ვერსის მანძილზე ახალი ტობანიერიდან. იქ დაცულია ძველი ეკლესია, ცოტა არ იყოს, უხეიროდ ნათალი ქვისაგან ნაშენი. სისქე კედლებისა არის $1\frac{1}{2}$ ადლი. ეკლესის სიგძე აქვს 17 ადლი და 2 გოჯი, განი 11 ადლი და 11 გოჯი. აღმოსავალეთის მხარეს იქ, სადაც ორივე ნაწილი სახურავისა უქრთდება ერთმანეთს, ჩატანებული არის ქვერის თავი ქვიდვან გამოქანდაკებული. ფანჯარა სამი აქვს: თითო აღმოსავლეთის, დასაცავთის და სამხრეთის კედრით. ეკლესის ეკვდრები ჰქონია ჩრდილოეთის მხრით, სიგძით 8 ადლი და 10 გოჯი, განით 4 ადლი და 14 გოჯი. ეს ეკვდერი ეხლა დანგრეულია. დანგრეულია აგრეთვე დასაცავთის ეკვდერიც, ანუ კარის ბჟე, სიგძით 11 ადლი და 11 გოჯი, განით 4 ადლი და 11 გოჯი. ეხლა დაცულია მხოლოდ სამხრეთ-დასაცავთის კუთხეში ეკლესისა შემდეგ დროში მიღებული პატარა ოთახი. დასაცავთის კარს ზემოთ ჭვაშე გამოქანდაკებულია ჯვარი, მარჯვნივ კაცის სახეა ულაზათო, ჭვემოდ მაგრატელი და ეერძი, ზემოდ გველი და სამი ფრინველი. აღმოსავლეთის კედელში ჩატანებულია ჯვარი და აგრეთვე აღმოსავლეთის ფანჯარა შემკობილია გრძებილით. ღარის მსგავსი ლავგარდანი აღმოსავლეთის მხრით ჩამონგრეულია. ეკლესის შემოვლებული აქვს გალავანი. ძველი ტობანიერის ეკლესია აშენებული ყოფილა სამებბის სახელზე, ხოლო თავი ვერცხლის სამებბის ხატი დიდი ზომისა გაუძარცვავთ ივაზაკებს და ეხლა დარჩენილია მარტო შეა ნაწილი, რომელიც განცალკევებული ყოფილა, ეს ნაწი-

ლი წარმოგვიდეს იქსო ქრისტეს ტახტზე მჯდომარეს. ცე-
ლობა შევენიერია. ხატს ხუცურად აწერია:



„მე ვარ ნითელი სოფლისა“.

ერთ ვერცხლის ფეხშემს აწერია:

„წინამძღვარი სვიმონ“.

სხვა ნივთები წარწერებით იქ აღარ შენახულია.

გ უ ლ ი ა

აჭი. ეჭის პატარია, მაგრამ ერთი უძველესთაგანი ეკლესია გურიაში, აწერილი აქვს დ. ბაქჩიძეს თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში (Arch. ყეთ. ია გურია և ადგარი, стр. 104—107), მხოლოდ დ. ბაქჩიძეს როგორლაც დარჩენია შეუნიშნავი თარი უძველესთაგანი წარწერა აჭისა, ერთი თვით ეკლესის სამხრეთის კარის ზემოთ და მეორე ოქროთი დაფერილ ვერცხლის ჯვარზედ, რომელიც დაცულია დღემდის აჭის ეკლესიაში. სამხ-
რეთის კარს ზემოდ დიდ ოთხ-კუთხედ ქვაზედ გამოქანდაკებულია ჯვარი ოთხ-კუთხედში ჩამოტკიცილი და ამ ოთხ-კუთხედის მარჯვნივ და მარცხნივ მოყვანილია უძველესი ასომთავრულით ხეთ სტრიქონიანი წარწერა, რომელიც ჩვენის აზრით ასე იკითხება:

| | | |
|----|---------------|-----------------|
| I. | ქ. წ'ო გ'ი მე | ოხ ექმენ |
| | პატრიონი | სლრს რტს |
| | და უშნიანს და | მოხ ექმ ნკ'ლზ |
| | აჭილსა და | გალატოზთა მქ'ლს |
| | და მეე | ცა |

უქარაგმოთ ეს წარწერა ესე უნდა იკითხებოდე :

„წმიდაო გიორგი, მეოს ექმენ პატრიონი: საღირს, ჩატს
და უშანიანს(?), და მეოს ექმენ ნიკოლოზ აჭილსა და გალა-
ტოზთა მიქელს და მეეციდეს(?)“.



არც ერთს პირს ამ წარწერაში მოხსენებულს ჩვენ არ
ვიტომბთ. მართალია ნიკოლოზ იჭიელი, ესე იგი აქის საყვარელოს
წინამძღვარი, გვარათ თაყაიშეილი, ცნობილია რამოდენიმე
სიგველა-გუჯრებიდან მეტვიდმეტე საუკუნის დამლევს და მეთვრა-
მეტეს დასაწყისში (ბაქრაძის მოგზაურობა გვ. 106—107,
290—291), მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ეს წარწერა ამ ნი-
კოლოზ იჭიელს თაყაიშეილს მივაწეროთ. ჩვენის აზრით წარ-
წერა ბევრად უფრო უძველესია მეტვიდმეტე და მეთვრამეტე
საუკუნოებში როგორც პალეოგრაფიულის ნიმებით, ისე აღწე-
რაში მოხსენებული პირებით. საღირი რატი და უშანიანი პი-
რველად ისესწებიან გურიის წარწერებში.

II. ვერცხლის ჯვარი, ოქროთ დაფერილი, რომელზედაც ჩვენ
ვლაპარიკობთ, უბრალო ჯვარი არ ყოფილი, არამედ ჯარის
წინ სატარებელი დროშასავით. მედალიონები ძეირფასი ქვებით
შემქულნი მარჯვენივ და მარცხნივ და ავრეთვე ზემოდ, რომელნიც
ჰქონია ამ ჯვარს, დღემდის არ შენაბულან, ხოლო კვალი-და
ანინია მარტო. ქვემოდ ჯვარს აქვს პრატყელი ხოლი, რომელითაც
ის ილბად ხეტარზედ იყო ჩამოცმული. ჯვარის მეორე გვერდზე
ასომთავრულით სწერია:

ჭ ძე ლო:

ცხ რები

სო. მებ

| | |
|------------|--------------|
| მცვ შნთ | ა მებთა დ |
| ღეს ჩას | გნკთხესას. |
| შეიქმნა ჯი | ესე ბეთსა დთ |
| ს შშბლისა | ოქროსა დ |
| ა ვერ | ცხლი |
| ს წის | ა უ |
| ფლ | ებსა |
| დდუ | ლსა თ |
| მრის | ს ადი |
| დენ | ლთმნ |



უქარიგმოთ:

„ში ძელო ცხოვრებისათ, მეოთხ ეყავ შენთა მკომიშამ და დაუკავშირდეთ მას განკითხებისას. შეიქმნა ჯვარი ესე ბეთანიასა (თუ შეთოვემსა?) ლვის მშობლისა, ოქროსა და ვერცხლის წმიდისა, უფლებასა დედოფლისა თამარის, ადიდენ ლმერობან“.

როგორც წარწერა უქვენებს ეს მშეენიერი ჯვარი გაკეთებულია თაშირ მეფის დროს (1184—1212) ბეთანიას ან ბეთლემს.

დახსაური. ლეხაურის ეკლესიის საყურადღებო ნაშტების აღწერას მკითხველი ნახვს დ. ბაქრაძის მოგზაურობაში (გვ. 107—113). ექვენების მოგვიყანთ ხოლო წმიდა იყობის ოქროს ხატის ასომთაერთულს წარწერას, რომელიც საშვალებას მოგვცემს, ეს ხატი თამარ მეფის დროს მიფარებოთ.

I. „ქ. ექვენები უკველთ არსთა ლმერთ-მეუფისა, სამ-ხატოვნებით სამ-ბრწყინვალისა მზისა ძმად საყეარლად წოდებულო მარტვლო, ბრძენ-მართლ-წმიდა ლვის მეტყველო იაკობ! გუექმენ მცველ-მფარველ მონა მსასოებელთა ვარდანის ძესა მარუშიანსა ძალურთ და სამშიგართა ასულსა ხათთა (ხათუთა?), ხატისა მის შენისა მამკობელთა სული[სა ჩურნისა] სუფევად“...

ნიშნები და მართლ-წერა აქ მოყვინილი წარწერისა არ დაგვიცავს. ხაზ-გასმული სიტყვები ბაქრაძის შრომაში გამოტოვებულია. ხსენებული წარწერა ამტკიცებს, რომ წინაპარნი გურიის მთავრებისა ანუ გურიელებისა ვარდანიძენი ყოფილიან, როგორც ისტორიკოსმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ გამომოვცა. ამიტომ მით უფრო საყურადღებოა ეკლესი დაკეშმარიტებით დრო, თუ როდის ცხოვრობდა აქ მოხსენებული უძეველესი წარმომადგენელი გურიელებისა. თამარ მეფის დროის დიდებულთა შორისო, შენიშნავს დ. ბაქრაძე, მოხსენებულია რომელიმე მარუშიანით და მასზე ხომ არ არის აქ ლაპარაკიო? ამის გარდა ბაქრაძის შრომაში გამოურკვეველი დარჩა, ხათთა ასულია თუ მეულე მარუშიან ვარდანის-ძისა (გვ. 335). ეხლა ხაზ-გასმული სიტყვები გვიმტკიცებს, რომ ხათთა სამძიგარო

ასულია და როგორც ხავონებელია შეუძლე მარუშიან უარღვევაზე
ნისძისა. თამარ შეფის დროის დიდებულთა შორის მოხსენელია მარ
როგორც მარუშიანი ისე ხამინიარიც (იხ. მარიამის ვარიანტი
ქარ. ცხოვრებისა, გვ. 408, 410, 709. H. G. 430, 582, ა. 5).

ეს ერთად მოხსენება მარუშიანის და ხამინიარისა გეძ-
ლებს შეტს საბუთს უფრო დაბეჯითებრთ მივაწეროთ ლეხაუ-
რის ხატი წმინდა იყოაბისა თამარ შეფის დროს და მის წარ-
წერაში ზოხსენებული მარუშიან ვარდანისძე, რომელსაც კო-
ლად პყოლია ხამინიართა ასული ხათთა ანუ ხათუთა, უძველეს
წარმოშადგენელად გურიელებისა.

II. დვითის მშობლის ხატზე, რომელიც მდარე ხელობისაა,
აწერია უშნო მხედრულის ხელით ზემოთ: „ყოვლა წმინდა“.
და ქვემოთ:

„ყოვლა წმინდაო, შეიწყალე სული გულბდის მის დღესა
განკითხვისასა“.

III. მეორე კარგ დეთის-მშობლის ხატზე ვერცხლისა მოყვანი-
ლია კარგად დაცული ასომთავრული წარწერა, მივრამ გარჩევა
მისი ადგილი არ არის.

დ. ბაქრაძეს ამ რიგიდ მოჰყავს წარწერა:

„ქ. მ. ყდ. წო. მეოს და. მფრელ. ექმ. პტრნსა. ქბბრს. და.
მსსა. შუასა. ეომქს. ჩწნ. და. მს. მშენებლს... ესდ... მსნჩქე“.
აეტორს ჰგონია აქ კახაბერის მეუღლის სახელი ანნთ იკით-
ხება (გვ. 109). ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილი გარჩევა მხო-
ლოდ ცდა არს ამ სინტერეს წარწერის წაკითხვისა. სურათი
ხატისა თავის წარწერით, რომელიც კარგად არის გამოსული,
მოყვანილია კანდაკოების გამოცემაში. ჩვენის აზრით აქ სწერია:

1 ქ მ ყდ წო მეოს და მფრელ ექმ[6] პატრონს ქბბრს
და მსსა მუღლს

2. ა ხატუქს ან და ის მშენებელს ხეს და შე შეს მექე...
ჩენის მოსაზრებით ეს წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს,

„ქორონიკოსს მ. ყოვლად წმიდაო, მეოს და მფარველ, ჩემი უკანას პატრიოს კახაბერს და მისსა მეუღლეს სავწერეს, ამინ, ადგა ამის შენიშვნელს ხავს (?) და მის მონას მიქე[ლს]“.

ქორონიკონი წარწერისა უჩვენებს 1352 წელს და ამ დროს მიაწერენ ლეხოურის ეკლესის აშენებას.

ძამითი. ძამითის ეკლესია ხისაა წმიდა კვირიკეს სახელობაზე აშენებული. ეს ეკლესია დ. ბაქრაძეს თეითონ არ უნახავს, მხოლოდ მისთვის მოეტანათ ორი წარწერა, ერთი წმ. გიორგის ხატისა და მეორე ზარისა. ჩეენ საჭიროთ მიგვაჩნია მოვიყენოთ აქ წარწერები ძამითის ყველა ხატის 1):

I. თავ ხატს ძამითის ეკლესისა შეადგენს წმიდა კვირიკეს ხატი, რომლის სახელზეც ეკლესია არის აშენებული. ხატი ეყრდნობისა არის ოქროთი დაფერილი შუა ზომისა. ამ ხატს ასომთავრულით აწერია:

1. ღო და: წო: კვე: შწე: გვს: თხს: მს მს თი
2. ნოს და კს: იოს: წო კვე: შწე: მღს მს
3. გს: შწე: წდაო: კკე:

ამ წარწერის სიტყვები, როგორც მკითხეველიც ხედავს, ძრიელ შემოკლებულია და ამიტომ აღვილი მისახდენი არ არის. ჩვენის მოსაზრებით წარწერა უნდა იყითხებოდეს ასე:

„ღმიერთო და წმიდაო კვირიკე, შეეწიო გორგის, თახოს, მის მეუღლეს თინათინს, და კოსტანტინეს, იოანეს, წმიდაო კვირიკე, შეეწიო; მღვდელს ზის გორგის შეეწიო, წმიდაო კვირიკე“.

II. წმიდის გიორგის ხატი ეყრდნობისა ოქროთ დაფერილი შუა ზომისა. ქვემოთ აშიაშე აქვს ასომთავრული წარწერა:

1) როგორც გაჟეთებმა გვაცნობეს ძამითის ეკლესია თავის ხატებით და ნივთებით სულ დამწერა. ამბობენ აქ განკალეავებულ უკუთში ინახებოდა ბევრი სამკაული თავადთა გუგანავათაო, რომელიც ჩეენ არ გვინახავს.

შე და გაუმარჯვე დაღიან გურიელსა
 გრის მექნ.

ვინ უნდა იყოს ეს დაღიან-გურიელი გიორგი? დაღიან-გურიელის წოდებას ატარებდა დაღიანი გიორგი II, რომელიც ცხოვრობდა მეორე ნახევარში მეთოთხმეტე საუკუნის († 1383). ამ გიორგის მოიხსენიებენ წარწერანი ხოპის სამეცნიელოში და ჯუმითისა გურიაში (Бакрадзе, Арх. пут. по Гур. и Адчаре, стр. 264, 268—9. Brosset. Voyages аг. VII Rapp. pp. 38—40. Н. Г. т. II. 1, p. 247, 646). გურიელებთა შორის, როგორც ჩენებ ვიცით, გიორგი ხუთი იყო. ამათში გურიელი გიორგი III († 1684) ერთ გუჯარში თავის თავს დაღიან-გურიელად იხსენიებს (ბაქრაძის მოგზაურობა გვ. 293). სხვა გურიელები თავის თავს გურიელ-დალიანებათ იხსენიებენ. ჩენის აზრით ეს წარწერა გურიელ გიორგი III ეკუთვნის და არა დაღიან გიორგი II, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებით უძეველესი გურიელები და უძეველესი დალიანები ერთ და იმავე სვანთა ერისთავების ვარდანისძეების შთამომავალნი უნდა იყვნენ (Бакрадзе. Арх.пут., стр. 268—269).

III. ვერცხლის ხატი ლვის მშობლისა ოქროთ დაფერილი და შემცული ძვირფასის ქვებით. ქვემოთ ამიაზე მხედრული წარწერა აქვს:

1. ქ მოვკედეთ: ხატი: ყოვლა წმიდა: თეთროს
2. ნისა: ნასხიდამინ: გუგუნავა: და: თანა მე
3. ცხედრემან: თეთროს: და: ძემან: ჩენმან ო
4. თარმან: საღლეგრძელოდ: საუკუნეს: სულისა: ხაოხად.

ეს ხატი, როგორც წარწერა უჩვენებს, წინეთ ჰერთნებია თეთროსნის ეკლესიას, რომელიც ქობლეთის მახლობლათ არის ნათომის ოლქში. თვით გუგუნავანი, ეხლანდელი ძიმითაში მსახლობელნი თავადები, ქობლეთიდან არიან მოსული იმ დროს, როდესაც ქობლეთი ძალით გაათათრეს თსმალებმა.



IV. ვერცხლის ხატი მთავარი ანგელოზებისა ოქროსა და მურავისა
ფერილი. ქვემოთ აშიაზე აქვს მხედრული წარწერა:

1. ქ. ღმერთოს.. ყოვლის.. მპყრობელო იქსოა.. ქრისთევის..
2. ღმერთოს.. და.. მქიელ(sic).. გბრიელი.. მთავარი ანგელოზის..
3. ადლეგრძელებე.. და.. აცხოვენე.. ლიპარი ართუმელაძე.. და..
4. გევედრების.. თანა.. მეცხელრე.. თინთინ.. ორთავე.. შინა..
5. ცხორებათა..

V. წმიდი გიორგი ხატს კუბოზე აწერია ჯერ ასო მთავ-
რულით:

წა გი ჯიხანჯურისა

შემდეგ მხედრულად:

ქ: ეჭა შენ დადო მხედართ და ლეაწლით შემოსილო
და ხვარასინთა ტყვეთა მხსნელო, სასწაულთ მაკმედო, ახოვანო
და წმიდაო მოწამეო გიორგი, შეგამყეო და შემოგწირეთ კუბო
ესე მე გუგუნავაშ ეახუშტიმ და თანა მეცხელრემან ჩემმინ,
ბატონის გურიილის სახლის შეიღმით, დადიანის ქალმია,
ლელა, ძეთა წვენთა აღსაზრდელად, სულთა ჩვენთა ხა-
ოსალ, დღეთა ჩვენთა საღლეგრძელოდ, სასიკეთოდ, იმინ და
[კირილურისონ *].

ეს ხატი, როგორც ეტყობა, ჰკუთნებია ჯიხანჯურის ანუ
როგორც ეხლა ეძახიან ჯიხანჯირის ეკლესიას, რომელიც უნდა
ყოფილიყო აშენებული ჯიხანჯირად წოდებულს წვერეალზე,
მდინარე ჩილოქის მახლობლად.

VI. ზარზე აწერია მხედრულად:

თავადნი გიორგი და სეიმონ გუგუნავა*).

ბააღვეთი. ბაილეთის პატა ეკლესია აშენებულია, რო-
გორც ერთი კეიინ კლოსის წარწერიდან ვიკით, 1609 წ. (ის.

*) ეს წარწერა მოყვანილია ბაქერაძის შრომაშიც.



ჩემი სტატია Историческая приписки двухъ кинкласовъ и др. изъ хронологической перечень событий по некоторымъ другимъ источникамъ, стр. 26). ეკლესიის ნივთები აწერილი იქვე დ. ბაქრაძეს თავის მოგზაურობაში (გვ. 269—272). არ არის მოყვანილი მხოლოდ ხუცური წარწერა პატარა ვერცხლის ჯა- მისა, რომელიც აქ მოგვყავს:

„ქ: ამისა: დეკანოზსა: დაეითს: ქარჩილიაძესა: და: ძესა: მისა: გაბრიელს: ცოდვანი: მისნი: შეუნდნეს: ღმრ: ამინ:*

ეს დაეით ქარჩილიაძე იხსენიება კილევ ერთ ვერცხლის ჯვარის წარწერაში ბაილეთისავე საყდრისა. დაეით ქარჩილიაძე ცხოვრობდა გურიელი გიორგის და მისი ცოლის ელენქს დროს შეთუთხმეტე საუკუნის დასაწყისში.

მაკეგანეთი. მაკეგანეთის ეკლესია ახალია, ხისა, მთავარ- ანგელოზების სახელზედ აშენებული. ვერცხლის ხატს მთავარ- ანგელოზებისას ქვემო აშიაზე შეკრინებია მხედრული წარწერა, რომელიც ეხლა მოცილებულია, მაგრამ ცალკე ინახება. აშია- ზე მხედრულათ აწერია:

„ღმერთოს: და: მთავარ: ანგელოზო: მოიხსენე: ნაკაშიძე: მმეუჯ: ღმერთო: მოიხსენე: დეკანო- ზი: ამისი: ითანე.“

აქ მოიხსენებული მამუკა ნაკაშიძე, ჩეენის აზრით, ის მა- მუკა არის, რომელიც დახატულია ციხის საყდარში გურიან- თას მეუღლით ხეორამშითურთ და მით ბეჭანით. მამუკა ნაკა- შიძე მოიხსენებულია გურიის სიგელ გუჯრებში გურიელი მამია III († 1717) და გიორგი IV († 1726) დროს, ესე იგი მეთ- ვრამეტე საუკუნის დასაწყისში და ამაზე უძველესი არც ჩეენ- გან მოყვანილი წარწერა არის პალეოგრაფიის მიხედვით.

გურიანთა. ციხე. ციხის ეკლესია გურიანთისა აშენებუ- ლია ლეთის-მშობლის სახელზედ. მე აქ ვნახე შემდეგი სიძვე- ლენი, რომელიც დ. ბაქრაძეს თავის მოგზაურობაში აწერი- ლი არა აქვს (გვ. 272—275):



I. თავი ღვთის-მშობლის ხატი ამ ეკლესიისა ვეზუალურისა; ი
ოქროთ დაფერილი, შემკობილია რეა ძეირფესი ქვით, შესუსტებული
დარი აქვს მაუდისა მრავალი წერილი მარგალიტებით და სხვა
ძეირფესი ქვებით შემკობილი. იმას გარდა სუდარზე ჩამოკიდე-
ბულია 45 ოქროს თათრული და ვიზანტიური ფულები. ზურ-
გის ვერცხლის ფიცარზე ხატს მხედრულათ აწერია:

1. ქ.: მოგვედეთა;. და:. შეგამყვეოს: ხატი:.. ყოვ-
2. ლად:. წმიდისა:.. ღ-თის:.. მშობელისა: მე:.
3. - - - - - - - -
4. - - - - - - - -¹⁾
5. და ცხოვნებისათვს:.. მას ეამსა:.. ოდეს: მოვე-
6. ლ:.. და:.. დღვაშენე:.. ციხე:.. ქსე:.. გურიანთისა:..
7. მოიქედეთ:.. ხელითა:.. ფრიალ:.. ცოდვილისა:..
8. ოქრომქედლისა:.. იოვანესითა:.. და:..
9. დეკანოზისა:.. ეფრემ:.. ცერცვაძისა:..
10. შეუნდნეს:.. ლომან:.. ორსავ:.. ცხორებისა:..
11. კილევ:.. თქვენი:.. წინსამძლომი: ჯუარი: მოგიქე-
12. დინე:.. ძეთა:.. წარმართებისათვს: ამენ.

ტყვილად დამაშერალა ამომქრელი ზემო ნაჩვენებ თრი
სტრიქონისა: ამით არ დაიფარება სახელი გურიელისა, რომე-
ლიც ექ ყოფილა მოხსენებული და რომელსაც გურიანთის ცი-
ხე აუშენებია და, როგორც საგონებელია, ეკლესიაც ცახისა.
ამ გურიელის სახელს ეტყობილობთ მთავარ-ანგელოზის და
წმიდა მარინეს ხატის წარწერიდან. ხსენებულ ხატს სრულიად
იმავე ასოებით მხედრელად აწერია:

„ქ.: მოგვედა:.. ხატი:.. მთავარ-ანგელოზისა:.. და:.. წმიდი-
სა:.. მარინესი:.. ბატონის:.. შეილმან: მამია: და: მეულემან: მი-
სმინ: თინათინ: ისხენით: წაწუმედისაგან:..“

ხელი ამ წარწერისა და ღვთის-მშობლის ხატის წარწერისა
ერთი და იგივეა და უსათუოთ ერთ და იმავე კაცის ხელით არის

¹⁾ ეს თრი სტრიქონი ვერცხლისა წარწერით განვებ ამოჭრილია დანით.

ამოკრილი. ამას გარდა ოქრომჭედელი იოანე (გეარიათ წიჭ-
რიძე) იხსენიება კიდევ შემოქმედის წარწერაში ღვთის-შტაბი
ლის ხატზე, რომელიც აგრეთვე შეუმკვიდ გურიელ მამიას და
მის შეულექს თინათინს 1601 წელს (იხ. ბაქრაძის მოგზაურობა
გვ. 123—124). გურიელი მამია და მისი შეულექ თინათინ, ათა-
ბავის ასული, დახატულნი არიან მაცხოვრის ხატზე შემოქმედში,
შეფურ ტანისამოსით და გვირგვინებით, მუხლ-მოდრეკილნი
მაცხოვრის მიმართ. ხატი შეუმკვიდ მათ (წარწერა ნახე ბაქრაძის
შრომაში გვ. 129). მამია გურიელი მთავრად გახდა 1600 წელს
თავის მამის გორგი II შემდევ და მოკლულ იქმნა თავისავე
შვილის სიმონის ზექ 1625 წელს. გურიელ მამიას და მის მე-
ულექს თინათინს, ათაბავის ასულს, ეკუთვნის აგრეთვე შემ-
კობა მთავარ-ანგელოზების ხატისა ჯუმითში, რომელსაც წა-
რწერა აქვს ისეთივე მშედრულის ხელით, როგორც ციხის ღვთის-
შპობლის ხატს (ბაქრაძე, გვ. 264). ამოკრილს ორს სტრიქონ-
ზე ღვთის-შპობლის ხატისა ჩვენის აზრით უნდა წერიებულიყო:
„უდ ცოდვილმან გურიელმან მამია და თანა მეცხვდრემან ჩვენ-
შინ თინათინ საოხად ჩვენისა სულისა“.

II. წინ საძლომი ჯვარი ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი,
რომელიც ჩვენ წარწერაშია მოხსენებული, დაცულია ციხის
ეკლესიაშივე. წარწერა არა აქვს.

III. აქვე დაცულია კიდევ ვერცხლის ჯვარი, ოქროთ და-
ფერილი და შეძებობილი სამი ძვირფასი ქვით.

ხელობა ამ ნივთებისა ერთვარია და უნდა ეკუთვნოდეს
იმავე ოქრომჭედელს იოანეს, რომელიც ზემო მოყვანილ წა-
წერაშია მოხსენებული.

ქვემოთ იმავე ღვთისმშობლის ხატზე სხვა მხედრული ხე-
ლით აწერია:

„ზოსიმე: ცერცეაძესა: და მეულესა: მისსა: შეუნდნეს:
ღმერთმან: ეფრემს: ცერცეაძესა: და მეულესა მისსა *): შეუნ-
დნეს: ღმერთმან.

*) ღვთისმშენებელი სწერია „შემსა“.

IV. ხატი მაცხოვრისა ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი და
შემკობილი ძვირფასი ქვებით. ქვემო არშიაზე მხედრულად წრმიანა
რია:

„შევამკევ ეს მაცხოვრის ხატი ერისთვის ასულმან ეფემიამ“.

V. ლეთის-მშობლის ხატი ვერცხლისა ოქროთ დაფერილი
ხის კუპითი. ქვემოთ ხეცურათ იწერია:

ქ მოვაჭინე: ხატი: ესე: წმიდის: ბბილს: შე: იოვემი: წინ-
მძღვრმან: შმგწირე: ყოველ-წმიდას: სულის.

ესე იგი: „მოვაჭინე ხატი ესე წმიდის ბბილის შე იოვა-
კიმ წინამძღვარმან, შემოგწირე ყოველად-წმიდასა სულისა“.

ბბილის ხეყდარი ციხის მახლობლად მდებარეობს გური-
ანთას.

გრანის-ფერდი. გორის-ფერდის ეკლესია მდებარეობს ცნო-
ბილის მონასტრის შემოქმედის მახლობლად, მთის კალთაზე
ანუ ფერდიაზე და ამიტომ ჰქვია გორის-ფერდი. აქ ითხრება
ერთნაირი მოლურჯო საშენებელი ქვა, რომლიდანც აშენე-
ბულია შემოქმედის მონასტრი და სხვა ეკლესიები გურიაში.
ამგვარ ქვას ხმარობენ გურიაში ბუხრების საშენებლათაც. აქ
მაღლობზე შემოქმედის პირ და პირ ძველად ყოფილა მშვე-
ნიერი ეკლესია თლილის ქვისა, რომელიც ეხლა დანგრეულია,
მაგრამ ქვები ჯერ კიდევ გაზიდული არ არის. გურიაში საზო-
გადოთ დაცულია მრავალი ხატები, ჯვრები და სხვა საეკლე-
სიო სამკაულები მონასტრებში და საყდრებში, მაგრამ თვით
ეკლესიები, როგორც ვიცით, შესანიშნავი ხელობისა არ არიან.
გორის-ფერდში დარჩენილი ქვების მიხედვით უნდა ეითქმიოთ,
რომ გორის-ფერდის ეკლესია საცეკვესო ყოფილა გურიაში.
ნაშთი სვეტებისა, სვეტების თავებისა და ძირისა ვვიჩევენებენ,
რომ ეკლესიას გუმბათი გქონია. თუ როგორი წუქერომებით
ყოფილი შემკობილი ეს ეკლესია, ამას ვტყობილობთ დღემ-
დის აქვთ დაცულის ხეთი ქვისაგან. ეს ქვები შემკობილია
შესანიშნავი წუქერომებით და სხვა-და-სხვა სახის ჯვრებით.
ქვებს თრთა შეუა საოვალავით სიმაღლე აქვთ ერთი აღლი და



ხუთი გოჯი, განი ერთი ადლი. სინაზე და სიწმინდე ამ ჩემი მუსიკის მიზანი არის თქვენისა მოვაგონებს საუკეთესო დროის ხელობას საქართველოში. ჩვენის აზრით ეს ქვები კანკელის ძირს უნდა წარმოაღენდენ. კანკელში, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა ქანდაკებიც უოფილა წმიდანებისა. აქ ვიპოვეთ ჩვენ ქანდაკება ხარებისა, თუმცა ხელობა მისი საიმისო ლაშათიანი არ არის. ამას გარდა ჩვენ შეგვხდა კიდევ ქვა, რომელზედაც გულია გამოქანდაკებული. არა უწყით, თუ როდის ან რა მიზეზით დაინგრა ეს ეკლესია, მტრება შემუსრა თუ მიწის ძერამ, დროთა ეითარებამ თუ მოუვლელობამ. შემოქმედის ეკლესია უფრო მდარე ხელობისა დღემდის დაცულია და მდებარეობს ერთი ვერსის მანძილზე გორის-ფერდიდან. ხალხის ფანტაზია შემდეგის თქმულებით ხსნის მიზეს გორის ფერდის ეკლესიის დანგრევისა და შემოქმედის დარჩენისა:

შემოქმედის ეკლესიას და გორის-ფერდისა, გაღმოგვცემს თქმულება ხალხისა, აშენებდნენ ერთ და იმავე დროს, შემოქმედს აშენებდა თავი ოსტატი, ხუროთ-მოძღვარი, ხოლო გორის-ფერდს მისი შეგირდი. შემოქმედს და გორის-ფერდს შეაგაბმული იყო საბმელი. როდესაც თავი ოსტატი შემოქმედში ერთს ქვას დააშენებდა კედელს, მოსწევდა საბმელს და მით აცნობებდა შეგირდს, რომ მასაც ერთი ქვა დაეშენებინა სიფრ-თხილით. მაგრამ შეგირდმა განიხრახა ეჯობებინა ოსტატისათვის და უფრო ადრე აეშენებინა გორის-ფერდის ეკლესია. ამიტომ სწავლება თავის ოსტატისა მან გულს არ იდეა. სანამ ოსტატი ერთ ქვას დააშენებდა შემოქმედს, შეგირდს ორი ქვა ჰქონდა დაშენებული გორის-ფერდის ეკლესიაზე. ამ რიგათ გორის-ფერდის ეკლესია აშენდა მაშინ, როდესაც შემოქმედისა შეამდის არ იყო მოყვანილი: ამიტომ გორის ფერდის ეკლესია ვერ გამოეიდა კარგი ნაშენი და მასთან კიდევ ოსტატმა დასწუყელა ნაშრომი თავის უჩჩი შეგირდისა და ეს სიჩქარით აშენებული ეკლესია დაინგრა.

იმ იდეილის სადაც ძევლი ქვის ეკლესია იყო აშენებული, შემდეგ დროში დაუდგამო ხის ეკლესია, მდარე ხელობისა. რომე-



ლიც უფრო უბრალო სახლი, ჯარგვალს, წავაეს, ვიდრე ცეცხლი სიას, ეკლესიის აშენებისათვის დიდი შრომა არ გაუწერიათ, ქექეჩია ძველი ეკლესია არ აუქრეფიათ, არამედ თვით მიულაგებელ ქვებზე დაუდგამო ახალი ეკლესია. ჩვენ არ ვიცით, როდის არის აშენებული ეს ხის ეკლესია, ხოლო ხის კარი ამ ეკლესიისა, თუ არ თვით ეკლესია, ყოველ შემთხვევაში გაკეთებულია 1811 წელს. ეს კარი ხარატიანია, მდარე ხელობისა, და უშნო მხედრული წარწერა აქვს:

„შელია ჩეთა, იანვრისა ა, დიოწყო, ცხრას ოცხერვალს (ს) გაათავა“.

ვგონებ ამ დროს ეკუთვნის თვით ხის ეკლესიის შერთხილება ამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე.

ქედა. გორის ფერდის ზემოდ მოიპოვება ნანგრევები ქედის ეკლესიისა. ეკლესია პატარა ყოფილია, ეხლა სულ დანგრეულია. ტრაპეზის ქვა და ცულია. ერთი იოანე ნათლის მცემლის ხატი ქედის ეკლესიისა ეხლა და ცულია ახალ ეკლესიაში, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც ააგეს შემოქმედის ძირში. ხატი 39×30 სანტიმეტრი, ხისა და ყვითლიად შეღბილის ზურგზე მხედრულად აწერია:

„ქა: შენ ნათლით შემოსილო: ჟი ყოვლიად სატრელო (sic) ნათლისმცემელო ქრისტესო დიდო იოანე. ვიგულეთ და ვიგულამოდენერთ ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა შონდლობილმან მცელაძემ იოაკემ მათე მისმა ძისწულმა ასე რომე ძველი ოდესმე ნათლის მცემელი ქედის ყოფილიყო და უსჯულებასა შენა მოშლილ იყო ახლა განვახლეთ ახუშენთ (sic) საყდარი ახალი და ესე ხატიც ჩვენ დავახარეთ და შამოგწირეთ ჩვენ-და საცხოვნებლიად და სადღეგრძელოდ და შეილთა ჩვენთა და მომივალთა აღსაზრდელიად და განსაძლიერებელიად. ვინცა ამას ჩემს მომავალს შამოეცილოს შენ შერისხდი და შენი ნათელ დებული ქრისტე ყოვლის მპყრობელი ღმერთი. და კირიელებოსნ ამინ. იკურთხა საყდარი ესე მიტროპოლიტი შამოქმედებულისგან პატრიონობისა გურიელი მამიასა. თვესა მარტსა დ დღე-

სა ხეთშემათხა ქორონიკონსა უმზ ქრისტეს აქეთ ათას შემოვალი
დას ორმოცდა თვენამეტსა. ამ აღმაგის კაცის ამერ დაწალულითი
ლომბით მიქნიეს საქმე ყოველიფერი ვიც (sic) შენლობა მიბრა-
ძანოთ თქვენ უ შეგინდოს ღმერთმან».

ქორონიკონი ამ წარწერისა უჩენებს 1759 წელს და არა
1758-ს. აյ მოხსენებული მამია გურიილი არის მამია IV, ძე
გიორგი IV. ამ რიგად ქედის ეკლესია შეორედ აშენებული
ყოფილა 1758—1759 წლებში გურიილი მამია მეოთხის დროს.

ამავე ეკლესიაში დაცულია ითანე ნათლის მცემელის ხა-
ტი აკიშის საყდრისა. აკიში ღელვა, რომელიც ერთვის ერთეულ
შემოქმედის ზემოდან. ამ დღინარის პირზე ყოფილა პატარა
ეკლესია, ამ ეამად დანგრეული და მისი ხატი გაღმოუტანიათ
ახალს ეკლესიაში. ხატს აწერია მხოლოდ:

„წ წყლის, წინა მოაბედი ნათლის მცემელი ითანე“.

შემოქმედი. შემოქმედის შესანიშნავი სიძველენის აღწერა
მოყვანილია დ. ბაქრაძის არხეოლოგიურ მოგზაურობაში (გვ.
114—158) და ზოგი მათგანი გამეორებულია სურათების და-
მატებით შეორე თხზულებაში (Описъ пам. древн. въ иѣк. храм.
и монаст. Грузин., стр. 111—133). ამ უკანასკნელში ჩამოთვლი-
ლია რვა შესანიშნავი ხატი, რომელიც პირველ მოგზაურო-
ბის შემდეგ დაკარგულიან სამუდამოდ შემოქმედის მონასტრი-
დან (გვ. 133). პირველ მოგზაურობის აღწერაში დ. ბაქრაძეს
სრულებით გამორჩენია აუწერელი თავი ხატი შემოქმედის მო-
ნასტრისა, ანუ ფერის ცვალების ხატი, რომელიც ზარზმიდან
არის მოტანილი შემოქმედში და ასევნია ზარზმითავე წოდე-
ბულს შემოქმედის შეორე ეკლესიაში. შეორე თხზულებაში
მოყვანილია სურათი ამ ხატისა (გვ. 131) და მცირე აწერი-
ლობის შემდეგ მოხსენებულია, რომ ხატს ქვემოდ მიკედილი
იქვს წარწერა, რომელიც უჩენებს 886 წელსო. რაყი ამაზე
უძეველესი ხატი იშეიათია არა თუ გურიაში, არამედ მთელ
საქართველოში, ამიტომ საჭიროდ მიგვანია მოვიყვანოთ აქ
წარწერა, რამდენადაც ჩვენ გვვაჩიტოთ. ამას საჭიროდ ვრაცხ
დავსძინოთ, რომ სრული აღდგენა წარწერისა შეუძლებელია,

ვინაიდენ ზოგიერთი სტრიქონების თავი და ბოლო დაკარგულია და შეიძიაც ზოგიერთი ასოები დაზიანებულია, მაგრა გარდა სიტყვები ერთობ ძრიელ შემოკლებულია. სივრცე ხატს აქვს 2 ადლი, განი 1^{1/4} ადლი. იშიები შემდეგი დროის ხელობისა არის, კანდაკოვის შენიშვნით მეთორმეტე საუკუნის. ბოლო წარწერა კი თანამედროვე უნდა იყოს ხატისა. სულ წარწერა შეიცავს 4 სტრიქონს ასოშოავრულისას. ცდა ამის გარჩევისა მეტი არ იქნება:

1. სხ-თა ღ-თა შვ-სა ხატი ესე მწედ(?) [შ]აშსა გ-სა ოფ-თაფს ნერსეს ევსა(?) [ვ]ტე[ისა].
2. მ-რნ-ს ფ-რსა ს-ლსა ერ-სა მ-თსა ქ. მ მ-ასხლბსა პ-ლსა ქრკ იყ რვ.
3. ს-ხთა ღ-თა შე ზ-დი ერთვი [ძე] ს-ლ კ-ბლსა ეთ-სა რ-ბსი ღ-რს ვქ-ენ შ-მდ პ-ტსა ამ-ს...
4. და შ-ვრე ს-ლი და ხ-ცნი ჩემნი ხ-ტო ფ-რს ც-ლბსო შე ს-ლა ჩ-მს დ-ლსა მას განქ...

ნერნის მოსახრებით ეს წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ:

„სახელითა ღუთისათა შეიმოსა ხატი ესე მწედ (?) მამისა გიორგისა, უფალთ უფლისა ნერსესა, ერისთავისა პეტრიკისა¹), მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა²) მითისა, მამასახლისობასა პავლესა, ქორონიკონი იყო რე³).“

ქ. სახელითა ღუთისათა შე ზეიადი ერისთავი [ძე] სულ კურ-თხეულისა ერისთავისა რაბისი⁴) ღირს ვიქენ შემკობად პატიოსნისა ამის [ხატისა] და შეივეღრე სული და ხორცნი ჩემნი,

1) არა ვეონებ, რომ აქ სიტყვა „ჰპატრიკისა“ იგულისხმებოდეს.

2) არა ვეონებ, რომ აქ სიტყვა „ჰერისთვესა“ იგულისხმებოდეს.

3) აქ საჭიროდ უნაცხო შევნიშვნოთ, რომ ფოტოგრაფიულს სურათზე და მისგან გადაღებულს სურათზე კანდაკოვის გამოცემაში ეს ქორონიკონის ასოები მოწყვეტილია. ჩვენ რომ ვნახეთ ნაწყვეტი ამ ნაწილისა განცალკევებული იყო იქნე ხატედ.

4) ეს გარჩევით სწორია დებაზშა, მაგრამ ადვილათ შეიძლება „რაბის რატის“ მაგიერ იყოს მოყვანილის:

ხატო ფერის ცვალებისათ, შეეწიე სულსა ჩემსა დღესა მას განკუთხა
კითხვისასა 1) ...

სახარება. შემოქმედის მონასტრის კუთვნილი სახარება,
ნუსხურ ხუცურით ნაწერი, ორ სეტად, მ 4 პატარა ტანისაა,
სათაურები უშნო გადამზული ხუცურით არის ნაწერი. ტყავის
ყდაზე მიქედილია ქანდაკება ჯვარუმისა და აღდგომისა. ლუკას
სახარების ბოლოს სწერია:

„ლო შე მისი დამწერი ცოდვილი პე ან“.

ბოლოს სწერია:

„სახარებისა მის კუბო და ერთი შეკრული ქალალდი ესე
რუსეთიდგან დუმბაძეს შემოქმედელს იაკობს შემოქმედს დასა-
დებად გიმოუგზავნია ჩენ გენათელმინ ლორთქითანიძემან ნი-
კოლოზ დავაწერინეთ“.

III. ერთ მაცხოვრის ხატს აწერია ასომთავრულით:

„ლო.. დაიცვე: შემოქმედელი იაკობ“.

IV. ერთ ერცხლის დასაკეც ხატზე აწერია:

„გი გურიელი დედოფალი ელენე“.

V. ერთ ერცხლის ხატზე, რომელზედაც გამოსასულია
ამობერვით განკედილი სურათი იერუსალიმს შესვლისა და
ჯვარუმისა, აწერია ასომთავრულით:

1. ქ სახლითა ლ'თა მე მამ მ'ქლ შევმოსე სი-შა სი[ლბინებ]

2. ლად ს'ლისა ჩ'მსა სადიდებლიც მისიად..

შემდევ მარჯვიდ აშიაზე: „ქრონიკი იუ სკო“

ქორონიკი უჩვენებს 1540 წელს. დ. ბაქრაძის მოგ-
ზაურობაში, ეს თარიღი გამოშვებულია (გვ. 128), და წარწერა
ამიტომ მოვიყვანეთ *).

1) მეცნა საუკუნეში, რომელსაც ეს წარწერა ეკუთვნის (886
წელს), აქ ჩამოთვლილი სახელები იშეიათი არ არის.

*) მეორე შრომაში Опись пам. древн. гг. 119, ამ ხატის შესა-
ხებ დრო ასეა განმარტებული: приблизительно XV вѣка.



ბაქრაძის შრომაში (გვ. 137) მესამე რიგის პირულზე წილადაც წერილის ბოლოს, სიტყვას შემდეგ „შეიქმნეს“ უნდა მოუწიმოს კონკრეტულ სამწერობელნი“.

იმავე შრომის მე-139 გვერდის მხედრულ წარწერაში სიტყვებს შემდეგ: „შამოქმედელ მიტრაპოლიტმან ნიკოლაოზ ხელმეორედ“ უნდა მიემატოს: „სურმთლად დაძელებული კუბოთაების სან..ლე კოლოფები გამოვცვალეთ განვათხლეთ..“

მე-146 გვერდის წარწერის ბოლოს სიტყვის მაგიერ „საშ“.. უნდა მიემატოს: „ოდეს მიაგო კუად კუადს საქმეთახებრ მათთა მაშინ გვიჩვენე ნაწილი“... ქვემოთ კიდევ აქ სწერია:

„ქ: მიძინების ხატო: მიშეულე ოქრო: მქედელს მაჩქს: და მეუღლეს: ჩემსა“.

მე-147 გვერდის წარწერაში სიტყვებს შემდეგ „მაკარის ძესა“ გამოშევმულია: „მეუღლესა: მათსა“.

მე-148 გვერდზე (წარწერა 15) სიტყვის შემდეგ „საყდრისა“ იყითხება: „ალავერდს არის ჯვარი ესე“.

მე-138 გვერდზე ეპისკოპოზის კვერთხის წარწერის: „ქე ადე კე აფხაზთ მეუე“ დ. ბაქრაძე ასე სთარგმნის: „Христе, прославь кесаря абхазского царя“. შეიძლება აქ კორეკტურული შეცდომა იყოს, მხოლოდ წარწერა კი ასე უნდა წაეკითხოთ: „ქრისტე ადიდე ჭასტანტიანე აფხაზთა მეფე“.

VI. ერუბლის ფურცლებში, რომელნიც ფიცარზე მიკრული, იმ წარწერებს გარდა, რომელნიც დ. ბაქრაძეს მოჰყავს (გვ. 144—145), მოიპოვება კიდევ მხედრული წარწერები:

ქ. წმიდა: კვირიკე: სტეფნე: ახლისა: თეოდალიტე: სტეფანე: რფინი: არტემი: ონისიფორე: ძელი: ცხოვრებისა: წმიდის: გიორგის: სისხლი: პალატისი და სხვაცა მრავალთა.

ქ: ახლისა: იოვანესი: მართასი: ლაზარესი: დისა: პალატისი: დიმიტრის სისხლი: ამძერი: მარინა: მარიამ: მაგდანელი: თეოდასია: იოვანე: შმირხელი და სხვაცა: მრავალი.

ქ. გრიგოლი: თეოლოლოსი: ევსტრატი: ბართლომე: ნიკიტა: და სხვაცა მრავალი: სახელი: არა: ეწერა:



ქ: ღოთო: და მმთნო: მადლნო: ისსენით: სატანჯელოზორუა
გან უ: გაბრიელ: ოქრო: მეველელი: და მეულლე: მისი: საჰუთავარი
მინ: შაბა: და: დედა: ჩემი: უ: ისსენით: მინ. ძე(სა) ჩემსა:
იქეცს: წარმართე: ღოთო: კარგი. მინ. ამინ.

VII. ოქროს ფურცლების ნაწყვეტებზე ხუცურით სწერია:

ა) ქ. სხლითა : წ' სა: სმბსთა.... წნა: მ... ხოდ : შენ :
დიდი : ტბე... ბ)

ბ) ..დბლისა : უფლთა : ერთა : ბ...სა: მოიტელი : ხატი: ესე:

გ) ო...ლსაი : და სპლენძისა : სტკული : არს: სმინ : სდი-
დბლდ : ა...ბსა ჩმსა : წ' აექმნა.....

ჩ ა რ თ დ ი

ურბნისის უზარ-მაზარი ეკლესია ერთი უმთავ-
რესთაგან წარმომადგენელი საქართველოში ნამდეილი ძველი
ბაზილიკისა. ეს ერთი ულამაზესთაგანი და მასთან მდიდრული
ნაშთი არის ქართული ხუროთ მოძღვრებისა. უგამბაოთ ეკლესიას
საქართველოში სიონს უწინდობდენ საზოგადოდ და მართლა-
ურბნისი უძველეს წარწერებში სიონათ არის ცნობილი. ურბნი-
სის ეკლესია რამდენიმეჯერ არის თითქმის ძირითურთ აღმიფ-
ხურილი მტერთაგან და შემდეგ აღდგენილი მეფეთა და ების-
კობოსთაგან. ამიტომ მასალა ეკლესიის კედლებისა სხვა-და-სხვა
არის. ეხლა უმეტესი ნაწილი აგურით არის ნაშენი, მიგრამ საექ-
ვო არ უნდა იყოს, რომ ძველით ეკლესია თლილის ქვით ყო-
ფილ აშენებული. თლილის ქვისა, მაგრამ ძალზე დამდნარი,
არის უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთის კედლისა. ასეთი ქვით
ნაშენი ეკლესია და ასეთივე დამდნარი კედლებით ჩვენ ვნახეთ
სკრის ხეობის სათავეში. ჩვენ გვვინია ურბნისის ეკლესიის ქვე-
ბიც სკრის ხეობიდან არის მოტანილი. შიგნით ეკლესია სამ
ნაწილად (ნეფათ) არის დაყოფილი და ეს ნაწილები თითქმის
თანასწორი და პროპორციულია. საზოგადოდ ურბნისის ეკლე-
სიას რომანულს ხელობის ნაშთს მიაწერენ საქართველოში და,
კონდაკონის აზრით, განვებ დასაცლეთ ეტროპიდან გამოწერილი
ხუროთ მოძღვრებისაგან უნდა იყოს აშენებული არა უკვიანეს

XIII საუკუნისა. პირველმათ ურბნისის ეკლესიის გენერატორი მიაწერე თათეს ქრისტიანული მეათეამეტე სირიელ მაძაფეფის ურბნისა ექვეს საუკუნეში. პირველ ეპისკოპოსათ ურბნისისა მოხსენებულია ნეოფიტე, მამადიონობაში ომარათ წოდებული, ნათესავი ხალიდასი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო შიომღვიმის მონასტრიში და ეწვალა არაბთავან მერე საუკუნის დასარულს. ნეოფიტეს საფლავს დღემდის უწვენებენ ურბნისის ეკლესიაში. ამ გვარათ საუკუნელი ურბნისის ეკლესიისა უძველეს დროს უნდა მიეწეროს, მხოლოდ დროთა ეთარების გამო ჩასაკვირველია პირვენდელი სრული სახე ეკლესიას არ შეკრიბოდა. მაგრამ არა ვგონებ, რომ გვემა სრულიად შეეცვალონ. მიტომ კანდაკოვის აზრი მისაღები არ არის, ვინაიდგან ურბნისის ეკლესია ისეთ ძველ დროს ეყუთნის, რომ დასავლეთ ეკროპიდან ხუროთ მოძღვრის. გამოწერა შეუძლებელი იქნებოდა. იატავი ეკლესიისა ეხლა აგურისაა, მაგრამ ძველათ, როგორც ეტყობა, ქვისა ყოფილა. ეკლესიას ორი კან კელი აქვს, ერთი ხისა, ლამაზი ნიხელივი, რომელიც, წევნის აზრით, ერეკლე მეორის მიერ უნდა იყოს გაკეთებული, ამიტომ რომ ამ გვარივე კან კელი მოიპოვება რუისის ეკლესიაშიც, რომელიც როგორც წარწერიდან სჩანს, ერეკლე მეორეს გაუკეთებია. ხის კან კელი ჰვარავს მეორე კან კელს ქვისას, ლამაზ ნიხელივს და შეძებილს მშევნიერის სურათებით. აქ მარჯვნივ გამოხატული არიან იქსო ქრისტე და იოანე ნათლის მეტელი, მარცხნივ ყოვლად წმიდა და წმიდა ნინო. კან კელი გაუკეთებია გახტანგ VI. ურბნისის ეკლესიას წინეთ ჰქონია შემოღებული ზღუდე კაშებით, ზღუდე ეხლა მოშლილია, მხოლოდ დარჩენილია ერთ იდგილას აღაყაფის კარები ეხლა ამოშენებული, თაღშე ამ კარებისა მიართულია მშევნიერი სამრეკლო ვახტანგ VI-ის დროისა. ურბნისის ეკლესის როგორც საყურადღებო ნაშთს საქართველოსას საქმიანდ ვრცელი ლიტერატურა აქვს. ყველა წევნი ძველი ნიშების მკლევარი ყოფილა ურბნისში და ასე თუ ისე აუწერია მისი ნიშები (იხ. Dubois, Voyage... t. III, p. 183—184. Brosset, Voyage ar-



chéol. VI, Rapp., p. 13—19. Муравьева, Грузия и Армения, ч. III
Бакрадзе, Кавказъ въ древн. пам. христ., стр. 151—162. Канди-
кова, Русскія Аревности., вып. IV, стр. 73. Графина Уварова,
Материалы по археол. Кавказа, вып. IV, стр. 141—145).
თუ რა არის ახალი ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ მასალაში,
ამას მკითხველი დაინახავს ზემო ნაჩერებზე შრომათა შედარები-
დან. ჩვენ ვეცადეთ, რამდენათაც შესაძლო იყო, სრულად შე-
გვეყრიბა ვცელა წარწერები კედლებისა, ნივთებისა, სისაფლა-
ოს ქვებისა და აგრეთვე მინაწერები ხელთ ნაწერთა და ვგონებთ
ზეზე აღარაფერი დაკვრჩენია ლირს სახსოვარი, რომლის წარ-
წერა არ მოვცემავანოს. თუმცა არ მოვცელოდით, მაგრამ უმე-
ტესი ნაწილი ქვემო მოყვანილი წარწერებისა და მინაწერე-
ბისა პირველად იძექდება აქ.

I. სამხრეთის კარის ზემოდ ორად გაყოფილ ქვაზედ სწე-
რია ძევლი ამობერილი ასომთავრულით:

| | |
|-------------------------|----------------------------------|
| 1. ოთ ღო შე თე ებსკი | ძა ლქსი მშბლი |
| 2. ასსამ ოდს ღნ ღს | მყო ასსა ებქსდ |
| 3. იყო ქსე სნი ღაძლ | ოფს ზმსა თოხნი |
| 4. კოხნი და კქი გპლ | იყს სტნი ქტცი ღპლ |
| 5. იყს და მდლა ღნ ას ყი | საა ალშბა ყთა გკ |
| 6. [გხ] ძალისა მხთა | ღა ყი გთაბთა მქა ¹⁾) |

უქარაგმოთ ჩვენის აზრით წარწერა ასე უნდა წავიკით-
ხოთ:

*უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებისკოპოსი, ძეა
ლუკიანი, ჩაშენებელი ამისსახ, ოდეს ღმერთმან ღირს მყო ამისსა
ებისკოპოსად, იყო ქსე სიონი ღაძველებულ უფროს ზომისა:
ოთხნი კუთხენი და კანქელი (?) ²⁾ გაპობილ იყვნეს, სკერი

1) უკანასკნელი სტრიქონის ასოები სანახევროდ არიან ^ჭ დაცულნი,
უშერეს შემთხვევაში, ზემო ნაწილები.

2) ბრასეს აზრით ასოები „კქი“ უნდა ნიშნავდეს სიტყვას „კათო-
ლიკე“-ს, რომელიც სომხურის გამოთქმით უდრის გუმბათს.

ქრისტი (ქატაცი?)¹⁾ დამპალ იყვნეს და მოშმადლოა ლმეტომიან
ამის ყოვლისათვის, აღშენებად, ყოვლითა გაკეთებულ მიღლოშედა
შეოხებითა ღვთისათვის ყოველი გათავებითა მიქმნია²⁾.

ეს და მიგვარიცე ასოებით დარჩენილი წარწერები უძველეს
დროს უნდა ეკუთხენოდენ, მაგრამ განშარტება დროისა
შეუძლებელია, ერთიან თარიღი არ უწის.

II. აღმოსაფელეთის კედელზე იმნიორიცე ასოებით სწერია:

1. სბო წო შე წნა
2. შნი ქთრ შშნ და
3. ნშპნი მთნი შწნი
4. ამს სნი ქნ შნ ან

უქარაგმოთ:

„სამებაო წმიდაო შეიწყალე მონია შენი ქიოთარ, შუშან
და ნაშობნი შითნი, შემწენი³⁾ ამის სიონისნი. ქრისტემან შე-
უნდევნ, ამინ“.

III. აღმოსაფელეთისავე კედელზე იმნიორიცე ასოებით:

ქარაგმით:

- ლბა შა ქე
- რ მდლე თე
- ებქა ასსა
- აღშბა თნა

უქარაგმოთ:

- ლიდებამ შენდა ქრისტი,
- რამეთუ მოშმადლე⁴⁾ თეოდორე
- ებისკოპოსა ამისსა
- აღშენებამ, თანა

1) არ ვიცით, რომელი სიტყვა უნდა იგულისხმებოდეს ასოებში
„ქრისტი“. ბროსე ამ სიტყვის აზრის მიხედვით კანკულათ სთარგმნის. თუმცა
უფრო ჩვენის აზრით კანკული უნდა იგულისხმებოდეს ზემო აღნიშნულ
ასოებში კეტი⁵⁾.

2) უკანასკნელ სტრიქონებს ბროსე ასე კითხულობს: „და მშადლა
ლმეტომან ას ყოვლისამ, აღშენებითა გაერთალეთა და... ღმერთსა ყოვე-
ლი გათავეთ ამ ქორონიკომსა“. ჩვენის მოსაზრებით ეს სტრიქონი ისე უნ-
და წაიკითხოთ, როგორც ზევით მოგვცავს.

3) ბროსე კითხულობს: შეწირულნი.

4) ბროსე კითხულობს: მიმადლე.

| | |
|-------------------------|-------------------------------------|
| შეწილა მქლ | შეწევნილა მიქელ |
| ძისა კტიით | ძისა კოსტანტინესითა ¹⁾ , |
| ქნ შე ეს მე | ქრისტემინ შეუნდვენ. ეს მე |
| აბთი ღწრე ²⁾ | აბიათარ დავწერე ³⁾ |

IV. აღმოსავლეთისავე კედელზე წვრილის ხუცურით სწერა:

ქ ე მ ნ ა ვ ხ თ ნ
 ქ ე მ ე ხ ნ ე მ ნ ა შ ნ ი
 ვ ხ თ გ ნ
 [ქ] ე შ ე მ ნ ა შ ნ ი ც ო დ ვ
 ღ ა ნ

აზრი ამ წარწერებისა მცირეოდენი განსხვავებით ერთი
 და იგივეა, რომელიც საზოგადოდ ნიშნავს:

„ქრისტე, მოიხსენე მონად შენი ვახტანგ“.

V. აღმოსავლეთისავე კედელზე მხედრულად სწერია:

ქ. თი: ყლთა შ წ თა უ წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ე ს თ
 პირველ მოწიმეო ს ტ ე ფ ა ლ ე, შ ე ი წ ყ ა ლ ე ფ რ ი ა დ
 ც ი დ ვ ი ლ ი [მონაი] შ ე ნ ი მ ა მ უ კ ა....⁴⁾.

VI. აღმოსავლეთისავე კედელზე ბროსეს და მუსლინს
 შეუმნიერია:

1) უკანასკნელ სამ სიტყვას ბროსე კითხულობს: მიქელა-ძისა გალა-
 ტოსით.

2) ამ სიტყვის პირველი ასო „დ“-ია და არა „ჰ“-ი, როგორც ბრო-
 სეს მოჰკვდს.

3) ამავე ასოებით ნაწერი ქვეს ნატეხი დატანებულია კიდევ შეიცნიოთ
 საკურონეველის კედელში, მაგრამ აქ განცალკევბული ასოები განირჩევა
 მითლოთ.

კ შ კ ტ

...უ

რაღა თქმა უნდა სალაც ჩევრ ა რ ა მ ს უ წ ე ნ ე ბ თ ი ს ა ს ო ნ ი ა რ ა ნ ა თ ა ც
 შეიძლება მივიღოთ.

4) ეს წარწერა პირველად იძებედება.



ართ... { ბროსეს ძნ დრი { მუსლიმ გრაფიკული ტექსტი
დედი დღითნარისი დღითნარისი უნდა იყოს:

„არხიმანდრიტი დემეტრე დეკანოზი ადილენ ლმეროვან“.

VII. ჩრდილოეთის კულტურად:

| | |
|----------------|---|
| ოთ იკ ქე | { უფალო იქსო ქრისტე, |
| კტი შემქლ შეყნ | { კალატოზი მამა მიქელ |
| ას სნა შპბლნი | { შეიწყალენ ამის სიონისა მა შენ ებელნი. |

| | |
|---------|--------------------|
| აბთარ | { აბგათარ დეკანოზი |
| დეზი რო | { უფალო შეიწყალე |
| შე | |

| | |
|-----------|----------------------|
| ქ. შე შნი | { ქრისტე, შეიწყალე |
| დე ზი | { მონა შენი დეკანოზი |
| ან: | ამინ. |

| | |
|----------|-----------------------|
| ქ. შე ზე | { ქრისტე, შეიწყალე |
| ლევონ | { ზაქარია მჭედლიძე(?) |
| ძეა დე | დეკანოზი. |
| ნზი. | |

| | |
|---------------|------------------------|
| ქ. შე მნა შნი | { ქრისტე, შეიწყალე |
| კანდეი | { მონა შენი კანდელაკი. |

VIII. ერთ ქეის ნატეხზე, რომელიც ეკლესიაში მოიპოვება, სწერია 1):⁴⁾

„ქ.: მოიხსენე უფალო. კად ულირსი: მონა შენი: ურბნე-ლი: ეკლემოზ საყდრისა: ამის...“

აქ მოყვანილი წარწერა ეპიტაფიას, ესე იგი საფლავის ქვაზე წარწერას; მოგვავონებს, მაგრამ ეპიტაფია არ არის. ალ-ბათ ეკლემოზს რაიმე აუშენებია ურბნისში და ეს წარწერა მის შრომას უნდა მოიხსენებოდეს, მაგრამ წარწერას სრულად ჩვენ ამდის

1) ეს წარწერა პირველად იძებულება.

არ მოულწევია სამწუხაროთ. ჩვენ ეიცით, რომ ევდემოზი ჯგუფი ურბნელი იყო, შემდევ მანგლელი და ბოლოს არხი-ეპისკოპოსია პისი ქართლისა. ევდემოზი დამარხულია მცხეთის სამთავროს მონასტერში და მისი ეპიტაფიიდან ეტყობილობთ, თუ როდის და რამდენი წლისა გადაცელილი იგი. იმ მისი ეპიტაფია:

ქ ქს აქათ
ათას შეიცას ა
თხა მცყრობელ მმარ
თებლობასა ვახტანგ
ბატონის შეიღლისასა მე მთავ
არ: ეპისკოპოზიმან ევდემოს ოთხ
შეოც შეიღლის წლისა აღვესრულე ცხვ
რება უფროს შრომა: და სილმიობა
ხოლო ჩემსა უწინარესნი არა განდიდ
ებულ იყო სამთვაროსა არამედ:
აწ ესე არს განსასვერნებელი
ჩემი ამას დავემჟეილო რ
მთნავს ესე მხილელნი
შემინდობდეთ სიყვარ
ულისათვს ლ'თისა მარ
ტსა გ ქსა ტჭთ

ქორონიკონი უდრის 1711 წელს და არა 1710. თუ ევდემოზი 1710 წელს 87 წლისა იყო, მაშასადამე ის დაბა-
ლებულია 1623 წელს. ერთ ურბნისის გუჯარზე 1669 წლისა
(ი. ჩვენი საქართველოს სიძველენი, გვ. 324) მინაწერია თეთი
ევდემოზისა, სადაც ევდემოზი თავის თავს ასე ისსენიებს: „ჩვენ
ქსნის ერისთავთა ერისთავის სახლისა ძემან“. ამ ფრაზის დ. ბა-
ქრაძიშვილის მიუკიდა საბუთი ეთქვა, რომ ევდემოზი ქსნის ერის-
თავის გვარისათვის (Кавказъ въ древн. наим. христ., стр. 125),
მაგრამ ეს შეცდომა, სიტყვა „სახლისა ძემან“ ნიშნავს, რომ
ევდემოზის დედა ყოფილი ქსნის ერისთავის ქალი. ევდემოზი
გვარიად რატიშვილი იყო, რაც ცხადათ სჩინს მისი ბრძა-

ნებით 1674 წელს გადაწერილის ყანჩიერის გულანიდან, რომ
მელშიაც მოიპოვება სურათი თვით ევლემოზისა და მართლული ცეკვა
ჩვენ ფოტოგრაფიით გადავაღებინეთ.

IX. სამხრეთის კარის ზემოთ ძველი წარწერის მარჯვნივ
ჩატანებულია ქვა შემდეგი მხედრული წარწერით:

ქ.: შენ: კ' დ: სანატრელო: ღვაწლ:.
მრავალო: და ღიდებულო:¹⁾ ყოელთა:.
მოწამეთა: უწინიარესო: და უწარჩინებულესო:.
წმიდაო: სტეფანე: შემწე: მექმენ: ორსავე
შინა: ცხორებასა: რომელმან:²⁾ იღვაშენეთ:
ძირითაურთ: აღმოფხრული: ტაძარი: შენი:.
ჩენ: დაღიანის ისულმან: დელოფალმან: პტრონ-
მან:³⁾ მარიამ: რათა: მეოა: ეჭმია: სულსა
ჩემსა: და: სულსა: ძისა: ჩენისა: სა
სურელისა: ოტიასასა: წე: ლთისა: შენისა:.
დღესა მას გაკოთხვისასა: ქ' კა: ტნვ.

ამრიგათ ურბნისის ტაძარი განახლებულია როსტომ მე-
ფის მეულლის დელოფლის მარიამის მიერ 1668 წელს.

X. სარდაფში სახლისა, რომელშიაკ ეხლა ცხოვრობს
ურბნისის მღვდელი, სარკმელის ზემო პირათ კედელში ჩატა-
ნებული იყო ქვა ორი წარწერით. ჩენის თხოვნით ეს ქვა
გამოიიღო კედლიდან ურბნისის მღვდელმა სეით გამრეკევლოვ-
ნა, რომელსაც შრომისათვის მაღლობას ეუძღვნით. ორივე წარ-
წერა ამ ქვისა პირველად იბეჭდება. ქვა ოთხ-კუთხედია,
104×52 სანტიმეტრი, მარჯვნივ ქვაზედ ხუცურად სწერია:

1. წ ეჭა: სამებაო: წო: მე: შა: მა: ნამუშაკევ: მიწა:
მიწისაგან და აწ

¹⁾ ბროსეს უწერია: ქ' ბულა.

²⁾ ბროსეს უწერია: რომელ.

³⁾ ეს სიტყვა გამოშვებული აქვს ბროსეს.



2. კა მე მუშაკ: მიწიქრაბთა: შემზღვებათა: ჭა: შან: წერავი ცხადა
უს: გწე
3. ეთა: უპირველესო: და ქ'ს: ღა: ოს: ღვაწლ: მრავ-
ლობით
4. ა: მსხვერპლაც: შეწირულო: დიდო: ბ'წმეო:
5. სტუნე: ჩ'ნ: შან მრითა: შეწ'ვნითა:
ხრისხსა: სყდ
6. რისა: შ'ნისა: მჯდმ'რე: ურბნ'ლ: ეპისკპისი:
ხეხეულიძე: ნ'კზ უ
7. ღირსი: ესე: ღირს: ვიქმნ: მს'რბდ: ეკლსი-
სა შ'ისა: დ'ვიწყე აღშ'ნბდ:
8. გ'ლვნისა: ამის: კოშკებითრ'თ: და ზლუდე: გ'რე:
მოვსლევ: მ'ს და ბ'კე: ეს'კა: სდ'გრ
9. ხევნითრ'თ: ა'დ ჩ'ნ ცა: მოქენე: ოხ'თა: შ'ნთა:
ვით'ც: დიდსა: მ'ს: დღ'სა: გ'ნ კითხვს'სა:
ქ'კა: უკზ:

XI. მარცხენა ნაწილზე იმივე ქვისა მოყვანილია მხედრუ-
ლის ასოებით ლექსი. ვინაიდგან ქვაზე იმდენი ადგილი არ
დარჩენილა, რომ ტექსტი ლექსის რიგთ დაეწერათ, მიმომ
დაუწერიათ პროზის მსგავსი. ჩვენ ტექსტს ლექსის ხახდ
მოეცემანთ, მხოლოდ ხაზებით უჩენებთ, თუ სად თავდება ნამ-
დეილზე სტრიქონები:

„ქ. მარტივად: მდგომი: ტბა|რა: ვიხილე სრულად უშენი:—|
ვალავან კოშკებნი სიმაგრით სრა|განწყობილი უშენი
ქართლს უს|ჯულონი მკვიდრობენ ვინ ძალ შწემებო უშენი:—
და პატიქს მოგიბყრ(ო)ბ | ქვათაგან არა ხარ პირველ უშენი.

ქ: განვასრულე: გალავანი: ქ'ს: უნ: კან: ზენით:
ისმიტელთ| ერთ. მირ. ჩეენ. ვიყვენით. განუხვენით:-
რაც დამტალდა. კარ|გად. ვამეობ:— აქ მყოფო ნუ. მო|რწყენით



და შემდგომ. ჩ'მხა: ვინაც დამკუიდრდეთ. უბადრუკი მომზადების ამინ. ურბნელი ნიკოლოზ¹⁾.²⁾

ქორონიკონები ნიკოლოზის წარწერებისა უდრის 1739 წელს.

XII. სამრეკლოს დასაელეონის კედრით, ილაყაფის კარების ზემოთ, რომელიც ეხლა ამოშენებულია, თეთრი ქვაზედ მოყვანილია მხედრული წარწერა, რომელიც აქ პირველად იძევდება:

1. ქ: ჩენ:. დიდის:. მეფის შპანავაზის:. ძის:. ლევანის:. ძემან:. და საქა
2. რთველოს მჰერბერტიან²⁾) და კეთილად განშემან ბატონისშეიღმან:. ვახ
3. ტანგ:. და თანა მეცხდრუმან ჩენმან:. დიდის ჩერქეზის:. ბატონის:. ასულმან:. დელოფილმან
4. რუსულან ალვაშენე:. სამრეკლო:. ქსე:. გალავან:. პალატითა:. და:. სხვა:. სახლებითა:. სულისა ჩენისა:. საოხად:. და
5. ძისა ჩენისა ბაქარის ილსაზრდელად შეიმურა შენ ღვაწლ მრავალო პირეელ მოწამეო სტ
6. ეფანე და მეოს გვეყავ დღესა შის დიდია განკითხვისასა შის ეამს ოდეს გვალგა სარქიად ბები-
7. დას:. შეილი:. ჩემი ჯვერის მამა ურბნელი ეფისკოპოზი ფალავანდის შვილი ქრისტეფორე:. ინ-
8. დიკტიონსა მეფობისა ჩენისა:. გ:.³⁾ ქ'ს:.

ტედ.

ქორონიკონი უდრის 1706 წელს.

¹⁾ უკანასკნელი ორი სიტყვა ხელჩართულათ არის ამოჭრილი ქვაზე, ისე როგორც ნიკოლოზ ურბნელის ხელის მოწერა მოპოვება გუჯრებზე. ამოჭრელს წარწერისა სისწორით გადმოუღია თრიგინალი.

²⁾ უნდა იყოს „მბრძანებელმან“

³⁾ ასო ნამდვილზე ვკონებ უფრო „ბ“-ს წაგავს, რაც მართალი არ არის.

XIII. ძველ კანკელზე ქვისა¹⁾, რომლის სისქე არის 14,5 ცოჯი, დაცულია მხედრული წარწერა აღვილ აღვილ მოსპო-
პილი იხალი კარგის გამოჭრით და ძველის გაფართოებით:

.... და: გინმგებელი: ქართლისა: ბატონიშვილი:
ვახტანგ: რომელმან: შევამყე: კანკელი ქსე რათა
მე]ოს: მეყოს: ორსავე: შინა: ცხოვრებასა: მეულ-
ლით: ძით: და: ასულით: ქვისა: ტეზ²⁾.

ქორონიკონი უდრის 1706 წელს.

ნეგოჟიდ ურბნისის ეკლესიას.

I. წმიდა სტეფანეს ხატი ვერცხლისა, სურათი ნახატია
ძელზე მინანქრის მსგავსი ფერადებით, $17,5 \times 11$ სანტიმეტრი,
ხატში მოთავსებულია 33 ნაწილი სხვა და სხვა წმიდანებია.
თუ რომელი წმიდანების ნაწილები არის აქ ამას გვიჩვენებს
შედრული წარწერები ზურგისა, სადაც სწერია:

„სტეფანე, ნათლის მცემელი, ყოვლადწმიდის თმა, მათე
მახარებელი, ლუკა, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ლეთის
შეტყველი, წმიდა ეგნატე, წმიდა პროკლი, იაკობ დავითილი,
ბიკრორ, კვიპრიანე, კოზმან, ქრისტეფორე ძლიერი, სტეფანე
ახალი, დომენტი, კლემენტი რომეთა პაპი, თეოდორე სტრატე-
ლატი, წმიდა ნიკიტა, ლოთ ქვედა, წმიდა პარასკევა, წმიდა
მარინე, წმიდა ელიასი, წმიდა ანასტრასიასი, წმიდა სერგიე,
სეერი ცხოვლის ხე, ძელი ქეშმარიტი³⁾ (შეაში უზის). ხუთს
ნაწილს სახელები არ აწერია.

კუბო ამ ხატისა, 47×34 სანტიმეტრი, შემკობილია ამო-
ბერვილი სურათებით, რომელზედაც გამოხატული არიან ყ'დ

1) წმ. ნინოს და ყოვლად წმიდის სურათები გადმოულია და ხაურ-
თავს თავის გამოცემში გრაფინია უვაროვეს (Mat. πο Αρχ. Καβε.,
ვ. IV, стр. 145). წარწერას გრაფინია უვაროვეს ისსენიებს, მაგრამ
არ მოჰყავს, თუ რა წარწერა არის.



წა, იკ ქე, ნათლის მცემელი. აშიებზე წარმოდგენილია მუცხა
ნები წმიდა სტეფანეს ტანჯვისა, რომელთაც უწერის:

განიყვანეს: გარეშე: ქალაქისა და ქვასა დაკრძალეს.
აქა წმინდა სტეფანე ჩაქოლევილი აღმოჩეს.
აქა სტეფანეს შესუდრა.
აქა სტეფანეს საფლავის დადგება.
აქა სტეფანეს ნაწილის აღმოცვანება.

ვერცხლის აშიის ხატისა გარეშემო სისქეზე აქვს წარწერა
წვრილი მხედრულის ხელით:

აქ: ჩვენ: ღოვ: გვირგვინოსანთა: შეფერა: ძის: ძემ: საქარ-
თველს განმგემან: ბატონიშვილმან: ვახტაგ: შევამკვეთა:
მონასტერი: ესე ურბნის წმიდა სტეფანეს: და მო[ვ]კვდეთ ხატი
ესე მინაქრითა და: ვერცხლის: კუბოთა: რათა: დღესა: მას:
განკიოხვისასა: დიდებული: მოწმე: სტეფანე: მხსელ: გვექმნას:
ჩვენდა: თანა: მეცხედრესა: ჩვენსა: ჩერქეზ: ბატონის: ასულსა:
და ძენი ჩვენი: აღორძინოს: ამინ: ქრთ: ჩრზ⁴.¹⁾

1) ქართული ტექსტი ამ წარწერისა პირველად იბეჭდება. რუსული
თარგმანი მისი მოყვანილი აქვს დ. ბაქრაძეს (Кавк. въ древ. пам.
христ., стр. 152). გრაფანი უვაროვისა ვერ შეუმნიერა წარწერა ხა-
ტისა, და ეკვს ატადებს, რომ ამ ხატზე წარწერა იყოს და ხატი მეტის
ვახტაგის შეწირული იყოს. არ ვიციო, ამბობს გრაფინია, როდის ნახა-
ბაქრაძემ ხატი და ამოკითხა წარწერა, შემიძლია შეოლოდ დაგამოწმოთ,
რომ ხატი, რომელსაც ბატონიშვილის შეწირულათ ხადიან ეხლათ, წარ-
მოგვიდეს ნამდვილათ წე. სტეფანეს შევლების სურათებსო და იმდენათ
ულაზათოთ ნაკვეთია, რომ მეტის შეწირულათ არ ჩაითვლებათ; ამის გარდა
სახე წმიდანისა დახატულია ხატზეო და მინანქრის კვალიც არ არისო
(Mat. по Аpx. Кавк. IV, стр. 144—145). თუ რამდენათ შემცდარია
გრაფინია უვაროვისა, ამაზე ლაპარაკი მეტია წარწერის მოყვანის შემდევ.
მინანქრათ ის ლაშაზი სახე და სხვა ფერადები იგულისხმება, რომლითაც
დახატულია თვით სტეფანეს სურათი და არა ფერბლის შემკვბილობა
ხატისა, რამელიც ყოველ შემთხვევაში სრულებით ისეთი ულაზათო არ-
არიან როგორც გრაფინია მოიხსენიებს. ფინაიდგან წარწერა ხატისა სისქე-
ზეა მოყვანილი და მასთან წერილი ასობით, ამით ასენება, რომ სხენე-
ბული წარწერა ვერც ბროსეს შეუნიშნავს (VI Rapp., p. 18) და ვრც-
გრაფინია უვაროვისას.

ამრიგათ ხატი მოუკედინებია ეპიტანგ VI 1707 წელს.

II. ვერცხლის ბარძიში, ოქროთ დაფერილი, რომელზედაც
მოიპოვება ასომთავრული წარწერა:

„ჩენ ფუდ ცოდვილთა დაფრიდრმილთა სატამ და მისმა შეუ-
დლემ შრიმ ჯილვაწეთ მცირე ესე შესაწირავი (ე შსაწრავი?)
ვა ქვრივასა მის მიერ ბარძიში ერთის ფეშემითა: და შეგ-
წირეთ შენ ქა ჩითვს ჯრულსა რა მოგვიტყნ ცოდვანი
ჩინი დლესა მა (sic) საშინელსა განკითხვლსა რნც შეწირვი-
დეთ წა მსხვერპლსა შნლობასა პყოფდეთ ჩინს: წელსა ჩდმთ:
ივნისს და მისხალი“.

III. ვერცხლის კამარა, რომელსაც მხედრული წარწერა
აქვა:

ქ. ურბნისის. წის. სტეფანესათვის. შემიწირავს. მე. ურ-
ბნელს. იუსტიანეს.

IV. ვერცხლის პირი წმიდა მარინეს ხატისა, (ხატი თვით
დაცული არ არის) ასომთავრული წარწერით:

| | |
|---------|---------|
| წი ღო | მარინ |
| ე. მურვ | ელა: ექ |
| ა მე | ნა |
| ხე | შში |
| ას | შა |
| ვ | ლ |
| ს | ა |
| ფარა | იშენს |
| | ამენა |

უქარაგმოთ:

„წმიდაო მარინე, მფარველ ექმენ ხემშიაშვილსა ფარაიშენს
ამენ“.

V. იუსტინე ურბნელის მიტრის ნაშთები. დაცულია მხო-
ლოდ ცხრა რგვალი ვერცხლის ფირფიტი, რომლებზედაც გა-

მოხატულნი ირიან ღმერთი საბაოთი, იქსო ქრისტე, ლელა
ლეთისა, ოთხი მახარობელნი, იოანე ნათლისმცემული და შემოწირე
სტეფანე. ერთ ნაკერზე აწერია მხედრულით:

„მე ფ'დ ცოდვილმან ურბნელ ეპისკოპოსში იუსტინე მა-
ლალაძე გვეკეთებინე მიტრა ესე და შემოგწირე შენ პ'ლ მო-
წამეს სტეფანეს. ვინც იხმაროთ შენდობას ჰყოფდეთ. ქასა
უდიდ“.

ქორონიკონი უდრის 1786 წელს.

VII. საკურთხეველში მოიპოვება ძეველი ხატები წმიდა იაკო-
ბისა და წმიდა ბარბარესი.

VIII. საჩუქრელი აბრეშუმის ძალით ნაკერი, რომელზედაც
სუცურალ აწერია:

... ნ ჩსმა ბერ: დ'ანს ასშა თშრ: შერე ეს: სრუ-
ლი: ... სახალ: ვინც იხმროთ თითო: შენდობას ბძანებდეთ ამინ...
უქარაგმოდ:

... მისმა ბერან დადიანის ასულმა თამარ შეცვერე ეს სა-
რტყელი [სულისა ჩემისა] საოხალ, ვინც იხმაროთ, თითო შე-
ნდობას ბძანებდეთ, ამინ...“

VIII. ნაშთები ხის ყაერჯენისა, ძვლებით მოჭედილი.

IX. ვერცხლის აზარუეში შეედრულის ახალის წარწერით:

„ქ. ურბნისის წ'ის სტეფანეს ეკლესის შევსწირე კაკაშვი-
ლის ქალმა მარიამ სულის ჩემისა საოხად და საფლავის ფასათ.
მისხალი: ით:“

X. ენკერი მღვდელმთავრისა ოქროს კედით ნაკერი და
მარგალიტებით შეძერწილი. ზედ გამოხატულია ფ'დ წ'ი, ი'კ ქ-
ქვემოდ სუცურალ აწერია:

შე: დ'რ { შეიწყალე ამინ.
ეჯნ ან

XI. გარდამოსნა რუსული ხელობისა. ქვემოდ მხედრუ-
ლია აწერია:

„ვარლააშ მიტროპოლიტი მცხეთისა და ტუილისისა და
ექსარხოსი კი ისა საქართველოისა და იმერეთისა“¹⁾) გიგანტური

XII. ჯვარი ხისა ათონურის ხელობისა, $27 \times 10,5$ სანტი-
მეტრი, ვერცხლის მილანქრიანის ბუდით, შშვენიერის ხელობი-
სა და ძვირფასი ქვებით შემკობილი. ეს ჯვარი თავის მილანქ-
რიანი ხელობით საუკეთესო ნიერს შეაღევნს ურჩნისის ეკლე-
სიისა.

XIII. ჯვარი ვერცხლისა ძვირფასი ქვებით შემკობილი,
 $12,1 \times 6$ სანტიმეტრი.

განტაფიპიდა²⁾

I. ქვა გადასული წარწერით. დარწენილია მარტო სიტ-
უვები:

... ვინც წაიყი ... დეთ ალვესრულე: ქ' კს უმა:

II. სხევა ქვაზედ:

ქ. მოხსენე: უფალო: დეკანზის: მეუღლე: მიცვალებუ-
ლი: საფლავს შინა: მდებარე: სულკურთხეული.... ვინც
წარიკითხებდეთ შენდობას ბრძანებდეთ.

აქ მოხსენებული მეუღლე დეკანზისა უნდა იყოს დეკა-
ნოზის პანტელეიმონის კოლი.

III. მესამე ქვაზედ:

ქ. აქა მწარისა სუკუდილისა მახვილითა განკვეთილი
და წარალიაგან საყვარელისა მამისათა უწყალოსა სიკედილისა-
გან ალტაცებული რომელიცა ვიყავ მხოლოდ შობილი ურჩნი-
სის დეკანზის პანტელეიმონის ძე ითანე წლისა ათორმეტისა
და თოვსა ხუთისა დედისაგან ობლად დაშთომილი და აწ მა-
მის ობრად დამტევებელი დავიდევ ლოდი ესე საცნობელად

1) მე-2—11 ნომრებში მოხსენებული წარწერანი ნიერებისა აქ
პირველად იბეჭდება.

2) ეპიტაფიები აქ პირველად იბეჭდება.

ყოველთა რომელნიცა იხილვიდეთ ოხანი მაგრა თთვესა იქნის-
სა იმ ქს იქეთ ჩდგ ქს უო".

გილიამის

II. ნეოფიტე ურბნელის საფლავის ქვეს, რომელსაც მარ-
ცხნა სვეტის მახლობლად უჩვენებენ, წარწერა არა აქვს, რო-
გორც ყველა ჩვენი ძველი წმინდანების და მეფეების საფლავს.

ჰელინაწერები.

I. გულანი¹⁾ in folio დაღი ტანისა, 45 × 31 სანტიმეტრი,
ნაწერია ორ სვეტად წვერილი ნუსხა ხუცურის ხელით. თი-
თო სვეტზე დატეულია ორმოც და ათ ორმოც და ათი სტრი-
ქონი. ხის ყდა ტყავ გადაკული ცოტა დაზიანებულია. ფურც-
ლები ზოგი არეულია, ზოგი გასვრილი. სხვა-და-სხვა ადგილას
ხელ ნაწერისა იმეორება მინაწერები საზოგადოდ შემდეგის
შინაარსისა:

"მეცობასა სახელოვანისა გიორგისა. და გამგეობასა ჩისა
შეოთხესა ალვაწერინე შე გამგებელში ქართლისმარნ ბატონის-
შვილმარნ გახტანგ გულანი ეს. საოხად ს'ლისა ჩ'ისა. და მეუ-
ლისა ჩ'ისა ჩერქეზის ბატონის შვილის რუსუდანისათვს. და
ძეთა. და ას'ლოთა ჩ'ნთა აღსაზრდელად. და შეესწირე ურბნის
წ'ა სტეფანეს: ქ'კა: ქ'ეს აქათ: ჩდზ:."

შეორე ადგილას ვკითხულობთ:

"წ'ო შე ფ'დ ც'ი იქსე გ'რსევანიშვილი: ქ'კა ტევა:."

II. კონდაყი, 27 × 21 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაბლ-
ზე ორ სვეტად ნუსხა ხუცურით. ყდა ხისა დამტერეულია. ბო-
ლოს ტექსტის ხელით აქვს მინაწერი:

"ს'რლ იქნე[ს] ეს წესები თვესა მაისსა: ჭ: ქ'კა: ტშგ: —
1705.

¹⁾ ეს გულანი მოსხენებული აქვთ ბროსეს და შაქრაძეს თავიანთ
ნაშრომებში. ხოლო სხვა ხელინაწერები მოსხენებული არ არიან და არც
ქართული ტექსტია დაბეჭდილი გულანის მინაწერებისა.



აშიაზე მეორე ადგილის სწერია:

ქე შეიწყელე ურ ნეკშ ძე დათუნასია.
ქე შე მღვნის თმაზას ძე ხამებრლი იოსებ.
ლრ შე მღლელი მახარებრლი.

III. კურთხევანი, 21×16 სანტიმეტრი, დაწერილია ქალალდჲე ნუსხა ხუცურით, ყდა გატეხილი იქვს. ნაწერის მიხედვით ხელთნაწერი მე-XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

IV. ფსალმუნი დავითისი, 21×17 სანტიმეტრი, ნაწერია ქალალდჲე ნუსხა ხუცურით, ყდა ტყავისა იქვს გაფუქებული. ხელნაწერი მე XVIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ერთ ადგილის გადამწერს ტექსტი იურევია და იმიტომ შენიშვნას:

„ძმო ჩმო ნუ მწყევო იბკ გრძელინა და წა არსი: წინა უკან მომივიდა:—“

V. კონდაკი, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხელთნაწერებიდან, მაგრამ ერთ წიგნათ არის შეკრული, $16 \times 10,5$ სანტიმეტრი, წერა ნუსხა ხუცურია. ზოგიერთი ადგილები რუსულათ არის მოყვანილი. ბოლოს სწერია: „სრულ იქმნა სიწის განახლებისა: წესი და წირვა“, შემდეგ მოყვანილია რუსული ტექსტი იმისა, თუ რა უნდა თქვას დიაკონმა წირვის დროს. ამის შემდეგ მოყვანილია ქართული ხათოვეო წიგნი (კალენდარი) და ბოლოს ნაბეჭდი ლოცვანი.

VI. იპოლიტე რომის პაპის წირვის წესი, ლამაზი ნუსხა ხუცურით ხაწერი ქალალდჲე, $16 \times 10,7$ სანტიმეტრი, ქალალდის ყდით. ბოლოს სწერია:

მრავალ ქრისტ ურბანელ მიტროპოლიტი ისებ: იკ იკ შე შწერალი ამისი უღიძისი მღლელი ნეკლი სიონის დეკანოზი: ჩლებ: 1768“.

დასაწყისი ტექსტისა:

თვეესა ინვასა ლ წა მღდელ მოწამისა იპოლიტე პრომთა პაპისა:

VII. ურბნისის ტაძარს დღემდის შეტანით მხოლოდ თორ-
შეტი სიგელ-გუჯარი, რომელიც ჩვენ სრულად აფიქსირებულია
ჩვენს საქართველოს სიძელენში, ტ. I, №№ 266—277, 83·
321—333.

როგორც სჩანს ზემო მოყვანილი საბუთებიდან უძვე-
ლესი დროის განახლება ურბნისის ეკლესისა თავს უდევა
და კიდევაც ჯეროვანოთ შესრულებია თეოდორე ებისკო-
პოზის, ლუკას ძეს, შეწევნითა მიქელისა, ძისა კოსტანტინესა,
რომელიც, როგორც საგონქბელია, ყოფილა კალატოზი ანუ
ხუროთ მოძლეარი. ეკლესის განახლებას შესწევიან კიდევ
ამიათარ დეკანოზი და ცოლ ქმარი ქაფარ და ჰუშან. თეო-
დორე ებისკოპოზის ახლო დროს უნდა ეკუთხოდეს დეკა-
ნოზი დიმიტრიც და შეიძლება ვახტანგიც, თუმც ეს პირი
დეკანოზია, რაც საექვეოთ უნდა ჩაითვალოს.

შეორეთ ურბნისის ეკლესია განუახლებია 1668 წელს
ცნობილს მოღვაწეს და დედოფალს მარიამს, როსტომ მეფის
მეულებს.

1706—1707 წლებში ვახტანგ VI გაუმშენებია და შეუ-
მკვია ურბნისის ეკლესია შშევნიერის კანკელით, საკულესიო
ნივთებით და წიგნებით. მასვე აუშენებია დღემდის კარგათ
დაცული სამრეკლო და იგრეთვე გალავანი და პალატი, რო-
მელთაც ჩევნამდის აღარ მოუხწევიათ. ვახტანგს მოუკედინე-
ბია ავრევე ურბნისის წმიდა სტეფანეს თავი ხატიც. ერთი
სიტყვით რაც უფრო თვალ საჩინო ნივთია დღემდის დაცუ-
ლი ურბნისის ეკლესიაში, უმეტესი ნაწილი ვახტანგ VI წყა-
ლობაა.

1707 წლიდგან 1739 წლიმდის მტრებს ერთხელ კიდევ
გაუნადგურებიათ ვახტანგის მიერ აშენებული გალავანი და აღ-
ნიშნულს წელს ურბნელს ნიკოლოზ ხერხეულიძეს ხელმისარედ
გაუკეთებია გალავანი კოშკებითურთ და შემოუვლია ზღუდე,
აუშენებია სადგური სახლის კარისბერ და სანივთური (სალარო).
ჩვენამდის არც იმ გალავანს და სხვა შენობას მოულწევია.

ურბნელებიათ წარწერებში და სიგელებში ჩანა:

თევდორე ლუკას ძე, უძველესი დროისა; ვლასე 1566
წელს¹⁾; ევლემოზ რატიშეილი 1669 წელს²⁾; იოსები გვარეულია
ხიშეილი 1700 წელს³⁾; ქრისტეფორე ფალიანიშეილი 1706
წელს⁴⁾; ელის 1711 წელს⁵⁾; ნიკოლოზ ორბელიანი შრო-
ველ-ურბნელი 1717 წელს⁶⁾; ნიკოლოზ ხერხეულიძე 1739
წელს⁷⁾; იოსებ 1768 წელს⁸⁾; იუსტინე მალალიძე შროველ
ურბნელი 1786 წელს⁹⁾.

სკრა. ურბნისის ცოტა ქვემოთ, საღვურ სკრასთან, მტკუ-
აჩს უკროთდება მარჯვენა მარით სკრას ვიწრო ხეობა. სკრას
წყალი, ანუ როგორც ებლა ადგილობრივ ქახიან მემლება,
პატარაა და ზაფხულში მინცვრების და ბალების მოსახულევად
არის მთლიად დარიგებული. ხეობა ვიწროა, როგორც მოვისე-
ნიერ, მაგრამ სიგძეზე შეიღ-რეა ეკრასის მანძილზე მიღის. ის-
ტორიის წინა დროს ნაშენებათ ამ ხეობისა უნდა ჩაითვალოს
ძველი სახალილოები. საფლავები ფიქალი ქვებისაგან არიან ნა-
შენი და მათში კაცის ძელებითი ქრთად ხშირად ჰპოულობენ
თიხის ჭურჭლებს და იშვიათად სამუშალებს და იარაღებს ბრინ-
ჯაოსა და რკინისა. საზოგადოთ კი ნიკოთებით აქაური საფ-
ლავები ღარიბია. ჩეენ რამოდენიმე აფგილის ქსინჯეთ აქ მოთ-
ხრა საფლავებისა და სხვათა შორის ვიპოვნენ თარი თიხის კუ-
ბო, გრებილებით შემცილი და საზოგადოთ ლამაზი ხელო-
ბისა. კუბოვებში ძვლების შეტი არა რა აღმოჩნდა. ნაშენები კუ-
ბოვებისა ამოვილეთ მიწიდან და დაერწყვეთ სკრას მოურავის
ეზოში. თიხის კუბოვები მცხოვრილია არის ნაპოვნი და ერთი
მათვანი ებლა ინახება კავებისის მუზეუმში, შეგრამ სკრაში ნა-
პოვნი კუბონი ხელობით ბევრათ უფრო ლამაზი არიან მცხე-

1) ნამ. საქართველოს სიძველენი ტ. I, გვ. 321—323.

2) საქარ. სიძველენი გვ. 324. დ. ბაქრაძე სცდება, როგორც ამ-
ბობს, ვითომე ევდემის ისენიებოლეს 1700 წლის გუარის მინაწერში.

3) Ibid. გვ. 326—328.

4) იხ. ზემოთ წარწერა სამრეკლისი.

5) საქართ. სიძველენი I. გვ. 328—329.

6) ის სიამა რუსის ხელნაწერთა მინაწერებისაგან.

7) იხ. ზემოთ მიხ. წარწერა ქახაუედ და ლექს და აგრეთვე საქართ.
სიძველენი, გვ. 330—332. დ. ბაქრაძე შეკუდომით ჩადის ნიკოლოზ ხერ-
ხეულიძეს ღომენტი II თანამდებოვეთ მე XVII საუკუნეში (ჩავ. ხს.
ადრენ. იამ. ქრისტ., ცტР. 152). აქ ღომენტი III იგულისხმება.

8) იმილე ზემოთ მინაწერი იპპოლიტე რომის პაპის წირიკის წესისა.

9) იხ. მიტრის წარწერა ზემოთ და აგრეთვე რუსის წიგნების
მინაწერები.

თისაზე. საკეირველია, რომ ამ თიხის კუბოებთან ბევრი მიწა-
ში ჩაფლული ქვერებიც აღმოჩნდა. ამ ბოლოს დროს მოგვიახედ-
ვიდა ამბავი, რომ ერთ ქვერში ჩამარხული კაცი ჩა-ნჩხიც
უპოვიათ, ასე რომ ძევლათ ქვერებიც საფლავათ ყოფილა აქ
ხმარებაში. თიხის კუბოების ნაშავები ჩვენ ვნახეთ კიდევ ცო-
ტა ზემოთ, წყლის პირათ, ნიაღვარისაგან ჩამონგრეული.

ქრისტიანული ხელობის ნაშთებით სკრის ხეობა მდიდარია.
აქ ძლიერ ბევრი ეკლესიები და ეკლესიების ნანგრევები შევ-
ხვდებათ ყოველგან, მაგრამ მათში თეალ-საჩინო ხუროთ-მოძ-
ლვრების ნაშთი არ არის. უმეტესი ნაწილი სკრის ეკლესიები-
სა ჩვეულებრივის სახის არის, ესე იგი ნაშენია უბრალო ქვე-
ბით, სივძე აქეს თთი თუ თერთმეტი ადლი, განი შვიდი თუ
რვა ადლი, კარი ერთი სამხრეთის მხრით და თთო ფანჯარა
აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლებში და ზოგ-
ჯერ პატარა სამრეკლო დასავლეთის კედლის ზემოთ. ამ გვა-
რივე სახის ეკლესიებია წამომდგარი მარჯვნივ და მარცხნივ
გორებსე ხეობის შესავალშივე. ორივე ეკლესია წმიდა გიორ-
გისა, მარჯვნივ გომბარის წმიდა გიორგი და მარცხნივ გლენ-
თისა. გომბარის საყდარს ქვის დაბალი კანკელი აქეს, ხატე-
ბი ფიცრებისაა ქართულის წარწერებით წმიდანების სახელები-
სა. ეკლესის დღეობა არის აღდგომის მეორეს დღეს და ბევრ
ხალხს იზიდავს ხოლმე. ეკლესია ნაშენია რიყის ქვით.

სკრის ხეობა წინეთ ეკუთხნოდათ თავიდთ შალიკაშვილებს.
შალიკაშვილები ძევლი წარჩინებული გვარია სამტბე-საათაბა-
გოისა. საათაბაგოს გათამარების შემდეგ ერთი შტო შალიკა-
შვილებისა გადავიდა გურიაში, მეორე კახეთში და მესამე და-
სახლდა ქართლში და შეიქნა პატრიონი სკრის ხეობისა. შა-
ლიკაშვილებს სკრის ხეობაში იუშენებით თავის სისიტუაცია-
თ პატარა გედესათ ათანე ნათლის-მცემლისა. ეს ერთად-ერთი
ეკლესია არის სკრის ხეობაში აკურით ნაშენი და ყავრით დახურული,
სხვა უცელა ქვით არის ნაშენი და ქვათავე დახურული.
ეკლესის დასავლეთის კედლის ზემოთ პატარა სამრეკლო აქეს,
რომელზედაც შეტანილია ერთი პატარა ზარი, დასავლე ის კედლი
გახეთქილია. და ეკლესია მიტოვებულია. კანკელი ახა-
ლია ბისა, ახალი მხატვრობით, სიგძე საყდრისა არის 11 ადლი,
განი 8 ადლი. სამხრეთის კარი მოშენებულია და დარჩენი-



ლია დასაელეთის კარი, ფანჯარა სამი აქეს, თოთო ყოველდღიურადაც
რეს, გარდა ჩიტილოეთისა. დასაელეთის კედელში კარის ჭირითაც
მოთ დატანებული ყოფილა, როგორც ეტყობა, ორი მოწითა-
ნო თლილი ქვა მხედრულის წარწერებით. ორივე ქვა ჩიმოვარ-
დნილა, ერთი სრულიად დაკარგულა, ხოლო მეორე ვიპოვ-
ნეთ ხაყდის მახლილათ მდებარე. უკანასკნელ ქვაზე, ცოტა
არ იყოს, უშნო მხედრულით სწერა:

III 71) ქ. ჩვენი: ფრიად ცოდ
ვილმნ ჟულთა კუთა უნარ
ჩველმნ თვთ დიდმნ სათბე
სა მყენმნ სქვთვლოში ჩმ
სულმნ რჯულის გულის
თვის პატრმნ შლკიშვლმნ
ძემნ როგორიმნ დედისა ჩმის
არგეის ერისთვის ასულის
ბრნის დრჯნის შლმნ . . .
[ალეაშვენ საყდარი ესე] . . .

პირველი ასოები ამ წარწერისა უნდა ნიშვნიდეს: „უფა-
ლო წმიდათ ქრისტე.“⁴⁾ დანარჩენი წარწერის აზრი მარტივია,
მაგრამ სამწუხაროდ სრული არ არის. ეკლესიაში ბევრი საფ-
ლავის ქვებია ზედ წარწერით, მაგრამ ჟულანი ეეცხამეტე სა-
უკუნეს ეკუთვნიან. წარწერების მხედვებია აქ მარხიან: ხოლა-
დაშვილის ასული-მარიამი, მეუღლე ნიკოლოზ შალიაშვილი-
სა, რომელიც გარდაცვლილა სეკურემბერში 1830 წელს; პა-
რუჩიერი როსტომ შალიაშვილი, გადაცვლილი 5 პრილს 1840
წელს; მისი მეუღლე ბაზარე თემანიშვილის ასული, გადაცვ-
ლილი 22 აგვისტოს 1874 წ., 60 წლისა; როსტომის ძენი: მი-
ხეილ, ალექსანდრე და დიმიტრი, და სხვები.

ამ ეკლესიის ზემოთ წყლის მარჯვენა ნაპირზე არის მე-
ორე ეკლესია წევრლებრივის სახისა, რომელსაც ეძახიან ჭირა

1) ეს ორი ასო ასომთაერულით სწერია ნამდვილზე.



ტაშვალის ექვემდებარებას. ეს გეარი ეხლა სკრაში აღიარ ცხოვრის უსაფრთხოების ზოგი ამოწყვეტილა და ზოგი ჯვებითში გადასულია მიზანობაზე

სკრის წყლის მარტენა ნაპირზე, ზემოთ ამ ეკლესისა, არის საკმაო დიდი ეკლესია ღვთის მშობლისა. ფერდობი, რომელ ზედაც ეკლესია არის აშენებული, განგებ გასწორებულია და სამი მხრით ქვის კედელი აქვთ ამოყვანილი. საყდარი ფაქალი ქვებისაგან არის ნაშენი. სიგრძე აქვს 17 ადლი, და 9 გოჯი, განი 10 ადლი და 5 გოჯი. კარები პქონია სამი სამ-ზრდით, ღასიერებით და ჩრდილოეთით, უკანის კედელი ამოშენებულია. ფანჯარა ოთხი აქვს. თოთო აღმოსავლეთით და და-სავლეთით და ორი სამხრეთით. ფანჯრები საკმაოდ დიდობონია და ოუმცა ორი მთვარი სამხრეთის კედრით დახურულია შე-მდეგ დროში მიშენებული ეკვტერით, მაგრამ ეკლესიაში მაინც საკმაო სინათლე არის. კანკელი ქვისა, სიძალუით სამი ადლი და $7\frac{1}{2}$ გოჯი და სისქით 13 გოჯი, სიგრძე კანკელისა არის 7 ადლი და 8 გოჯი. განსაკუთრებულს ოვისებას ამ კანკელისას ის შეაღებს, რომ იქ კი არ იშვება და ოვედება, სადაც სა-კურთხეველი იშვება, არამედ ცოტა ეკლესისენ არის გამო-წეული. გარდა მისია კარი მარტო ერთი აქვს სამეუფო, შუა-ში. კანკელი სულ დახატული ყოფილა. ქვემოთ ხეთი წმინდა-ნია დახატული სრული ტანით, ზემოთ თორმეტი წმინდანის სურათია ზელს ზემოთ. ნიმებშიაც საკურთხეველისა დარჩენი-ლია მხატვრობა. მხატვრობა საზოგადოთ ეხლა გაუცემულია, მაგრამ ეტუობა ლამაზი ყოფილა. უკეთ დაცულია სურათები ზუა კარის თალის ქვეშ კანკელისა, სადაც დახატულია იქსო ქრისტე წელს ზემოთ ხუცური წარწერით:

„ოპ ქ'ე ემნულ,“ ესე იგი „იქსო ქრისტე ემმანუელ.“ მარჯვნივ გამოხატულია ლავრენტი, მარჯვნივ წმ. სტეფანე წა-რწერებით: „წ' ა ლავრენტიოს, წ' ა სტეფანე“. საკურთხეველის თალში ზემოთ დახატულია ღვთის მშობელი ძითერთ. კან-კელს მიღვმული აქვს მომილლო ქვა 68×48 სანტიმეტრი, რო-მელიც სულ დახატული ყოფილა და ზემოთ ჩაღრმავებულია. ჩვენის აზრით ეს უძრავი სასანთლე უნდა ყოფილიყოს ეკლე-



სიის თავი ხატისა, რომელიც კანკელში შეღრმავებულ შრდების გადასახმარებელი ამ ხასახოლის პირდაპირ. შეგნით საყდარში იჩგვლივ ხაჯღომები არის. ეკლესია მთელია, ხახურივი ქვისა იქვეს. დასაელეთის ეკვდერი ეხლი დანგრეულია. ეკლესია მიტოვებულია, მხოლოდ 15 ავესტოს აქ დღესასწაული იციან, მარიობა, და მაშინ ბევრი ხალხი მოდის. ეკლესია, ჩვენის აზრით, ძრიელ ძველი უნდა იყოს, მაგრამ როდის ან ვისგან არის აშენებული არა სჩანს.

სენებულს ეკლესის სამხრეთის ბიშრივ მიშენებული აქვს ლამაზი ეკვდერი თლილის ქვისა, კარგი ნაშენი და ლამაზი ნახელავი. ეს ეკვტერი თითქმის განცალკევებულ ეკლესის წარმოგვიდგენს და თავის საკურთხეველი იქვეს. ეკვტერი ორ ნაწილად იყოფა. დასაელეთის ბიარე კარის ბჟეზ არის საყდრისთვის და აღმოსავლეთის ნაწილისთვის ეკვდრისა. აღმოსავლეთის ნაწილი სამლოცველოს წარმოგვიდგენს. აღმოსავლეთის ფანჯარას ზემთ მშენიერი ჯვარია მოუზრილი და დასავლეთის კარიც ეკვტერისა შემკობილია ჩუქურთმებით. იჩგვლივ კარს უვას შემდევი მხედრული წარწერა:

„ქ.: ჩვენ ფრიად: ცოდეილმნ: და უავლის: კაცის: უნაჩევესმან: შალიკაშვილმან: ნაზირმნ: ედიშერ: ალეაშენე ეკუდერა: კარის: ბჟე: და: სამრეკლო: ესე: ჩემას: მონალვაწისა: ფასით: ჩვენთა: ცოდათა: ხოთხად: და: ჩვენთა მიცვალებულთა: შესანდაობლიდ (sic): ეინცა: აღმოიკოხეიდეთ: შედობას: ბძანებდეთ: ჩვენთა: მიცვალებლთათვის.

ქ. ამს ქვეშ ცოტა რამე გლეხის: კაცის: ხასაფლოს: იყოს: და: ისიც იმითის ნებადართულობით მოვიყიდეთ დისე (sic) უმიზეზოთ და ყოვლის კაცის უცილებლად გაესარელთ. ქვესა: ტექ“.*)

ქორონიკონი წარწერისა უდრის 1708 წელს. სამრეკლო, რომელიც იმ წარწერაში იხსენიება, არ შენახულა.

*) ქორონიკონი მარცხნივ სწერია მოშორებით.

ამ ეკლესიის ქვეშოთ მეორე უკლესია არის წევდული მეცნიერების რიგის სახისა, მაგრამ ასეთივე მისალით ნაშენი, როგორც ჭეშმაღლია აწერილი ეკლესია არის. აქაც კანკელი ქვისაა, მარტო ერთის კარით.

თითქმის ზემოხსენებული ეკლესიის პირდაპირ მარჯვენა ნაპირზე ხეობისა მდებარეობს ეკლესია ღვთის მშობლისა, თლილის ქვით ნაშენი, სიგძით 14 ადლი და 1 გოჯი, სიგანით 8 ადლი და 13 გოჯი. ფანჯარა სამი აქვს, თითო ყოველ მხრივ, გარდა ჩრდილოეთისა. კარები აქვს სამხრეთით და დასავლეთით. უკანას ნახენელი კარი ამოშენებულია, კანკელი ახალია, უბრალო, ხისა, ხატებიც, რომელნიც დარჩენილან ეკლესიაში, ხისაა ქართულის წარწერით წმიდანების სახელებისა. მხატვრობის კვალი აქა იქ ძლიერ ემჩნევა. ეკვრერი დასავლეთის მხრით ეხლა დანგრეულია. კედლებში ამ ეკლესიისა ჩატანებულია ქანდაკების წმიდანებისა. ერთი მათგანი აღმოხვეულეთის კედელში თავდალმაა ჩატანებული. ეს იმის მარცენებელია, რომ ეკლესია განუახლებიათ და ქვე უხერხეულათ დაუდეიათ. ერთ ქვაზე აღმოხვეულეთის კედელში გარდა სხვა ჩუქურთმებისა ვარსკვლავია გამოხატული და ზემოთ ასომთავრეულით აწერია:

კ სსლი[თა ლთა] ესე ქვა
მე ლმან დესი
შემდეგ ვარსკვლავის გარშემო:
კ ჩ ფს
თა თა

ჩვენის აზრით ეს წარწერა ასე უნდა იყითხებოდეს:

„სახელითა ღვთისათა ესე ქეად მე ლომიან დაესდევი ქრისტეს მეუფისთათა“.

ამას ქვემოთ კიდევ სხვა ეკლესია არის წევდულებრივის სახისა და მისი არე-მირე საესეა ნასოფლარებით, როგორც საზოგადოთ მთელი ხეობა სკრისა. ამას ზემოთ ხეობაში მარჯვენა ნაპირზე წყლისა არის ძველებური ოთხ-კუთხედი მაღალი კოშკი, სადაც ეხლა ცხოვრობენ რამდენიმე კომლი ოსებისა. ამას ზემოთ

სკრის წყალს უერთდება ჭავლის სევი, და აქ არის ნანგრევები უბრალო ეკლესიისა. გალმა მოჩანს იმერლების სოფელი რაჭთავით და სოფელში პატარა ეკლესია ჩეცულებრივის ტიპისა. ეკლესია იხლოს ჩენ არ გვინაზავს.

ამას ზემოთ სკრის წყალს ერთვის დაღვის სევი და შესართავთან იპოვება დანგრეული ეკლესია ფიქალი ქვებით ნაშენი ჩეცულებრივის ტიპისა. ამას ზემოთ მთაზე მფნარაში საბურძენი ასები, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც აქ შეეხიზენ. მათ სოფელში უბრალო ეკლესიის ნანგრევებია, ხოლო იუნარის ქვემოთ ღალავის ხევის პირად არის ძელი ეკლესია, რომელიც ეხლა უდაბნოთ უწოდებენ. უდაბნო საუკეთესო ეკლესია არის მთელ სკრის ხეობაში. ეს ეკლესია წინედ მონასტერი ყოფილა. თუ მცვილებთ მხედველობაში ბერ ნანგრევებს, რომელიც ეკლესიის გარშემო არის, უნდა ვატიქრით რომ აქ ბერი ბერ-მონაზონი ყოფილა თავის დროს. მონასტერის გალავინი ჰქონია, წყალი გამოყენილი ყოფილი მილებით ღალავის ხევიდან. თეთო ეკლესია უგუმბათოა, მაგრამ თლილი ქვასაგან ნაშენი. ქვა, რადგანაც ლბილი ყოფილა, ადგილ ადგილ ძრიელ გამოფურულებულია და კედლები დამზარი, მაგრამ ეკლესია მაინც მოელით არის დაცული, ვინიდგან კედლები მაგარი აქვს. ამ ეკლესიის ქვა სწორედ ისეთივე, როგორც ჩრდილოეთის კედელი ურბნისის ეკლესიისა. სიგძე ეკლესიის არის 16 ადლი და განი, თუმც სამხრეთის ეკვდერსაც მივათელით, 15 ადლი. ამას გარდა ეკლესის ჩრდილოეთის მხრითაც აქვს ეკვდერი, რომლის განი არის 4 ადლი და 11 გოჯი. ეკვტრებს ეკლესიის სიგძე აქვს, და როგორც მსალიდან ეტყობა ეკლესიისთან ერთ დროს არიან ნაშენნი. სამხრეთის ეკვტრერი გაყოფილია ორ ნაწილად. აღმოსავლეთის ნაწილი წარმოადგენს სამღოცველოს. ამ სამღოცველოში აკლდამა ყოფილა, რომელიც ხაზინის მძებნელთ გაუთხრიათ, და ეხლა ნაგვით არის სავსე. დასავლეთის ნაწილი სამხრეთის ეკვტრერისა კარის-ზეს წარმოგვიდგენს ეკლესიისათვის და თეთო ეკვტრერის აღმოსავლეთის ნაწილისათვის. ჩრდილოეთის ეკვტრერიც ორ

ნაწილით, არის გაყოფილი. აღმოსავლეთის ნაწილი სამცხე-
 ცხელოა, დასავლეთის ნაწილი ჩვეულებრივი ოთახი, ჩრდილო
 ღოფეთის კედელი სანახვრით მიწაშია ჩატლული, ვინაიდან
 ეკლესია ფერდობზეა აშენებული. აღმოსავლეთის ფანჯარა
 ებლა დაუარულია ჩამონგრეული მიწით და ქვები.. და ამი-
 ტომ ეკვტერში სრულიად ბნელა. ამიტომაც არის რომ
 ესლა ოსები ეკვტერს საბნელეთს უწოდებენ. ეკვტერში ძრიელ
 დიდი სინესტეა. ეკლესის კარი იქვე სახურითის კედლით და
 მეორე კარი არის ჩრდილოეთის კედელში ეკვდერში შესა-
